პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (9605) | პარასკევი, 12 ივნისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

გავაძლიეროთ მზადება ახალი სასწავლო წლისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
საღლეისო თემაზე. — საველე ფარდული (მე-2 გვერდი).
პარტიული მუშაკის დასახმარებლად. ვ. შავგულიძე. — პირველადი პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა (მე-2 გვერდი).
მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. — აფხაზეთში მზადება ნაადრევად მიიჩნიათ. გავაუმჯობესოთ სკოლის მატერიალური ბაზა (მე-2 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
უკანასკნელი ფოსტა. — კარგი წამოწყება (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — ვ. გორგანელი. ქარვასლის ბიბლიოთეკა (მე-2 გვერდი).
საქართველოს კულტურული ცხოვრებიდან (მე-3 გვერდი).
ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ა. ბეროზაშვილი. — მშრომელთა გაღატაკება თურქეთში (მე-3 გვერდი).
ქალთა მსოფლიო კონგრესზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მთელი ყურადღებაა ამჟამად მიპყრობილია 1952/1953 სასწავლო წლის დამამთავრებელი ეტაპის — გადასაყვანი, გამოსაშვები და სამწოფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების წარმატებით ჩატარებისადმი.

ეს გასაგებიც არის. მაგრამ გამოცდების მაღალ დონეზე დამთავრებისათვის დაძაბულმა ბრძოლამ არ უნდა დაგვიფაროს კიდევ ერთი მთავარი, მეტად სერიოზული ამოცანა — ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მომზადება.

მომავალი სასწავლო წლის წარმატებები ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვამზადებთ და დავაკომპლექტებთ მასწავლებელთა კადრებს, როგორ უზრუნველყოფთ სკოლებს სათანადო ბინებით, მოწყობილი საკლასო ოთახებით, ყველა საჭირო დგამ-ავეჯითა და ხელსაწყოებით, სათბობით, სახელმძღვანელოებით. ამიტომ მომავალი სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებას აქედანვე უნდა ჩავუყაროთ საფუძველი.

სამწუხაროდ, როგორც ადგილებზე შემოწმებული მასალებიდან და რედაქციაში შემოსული წერილებიდან ირკვევა, ჩვენს რესპუბლიკაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. განსაკუთრებით იგრძნობა ეს ახალი სკოლების მშენებლობის, სასკოლო დგამ-ავეჯის დამზადების, სახელმძღვანელოების გამოცემის, რვეულების დამზადების, სასწავლო-საკცდელი მიზნებისათვის სკოლების მიწის ნაკვეთებით უზრუნველყოფის საქმეში.

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ღონისძიებით უნდა აღკვეთონ იმ მანკიერი სტილის შედეგები, რაც საქართველოს კომპარტიის ძველმა ხელმძღვანელობამ დანერგა სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მუშაობაში, მიაყენონ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესებას.

რესპუბლიკაში სკოლის რამდენიმე ათეული ახალი შენობა უნდა აშენდეს, უფრო მეტს კაპიტალური რემონტი უნდა გაუკეთდეს. ამ სერიოზული სამუშაოებისათვის სულ რაღაც ორიორნახევარი თვეა დარჩენილი. მაგრამ ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს მთელი რიგი სკოლების — ქარელის რაიონის სოფელ რუისის, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის, კაჩრეთის რაიონის სოფელ მახარაძის, ხობის რაიონის სოფელ ხორგისა და სხვა საშუალო სკოლების მშენებლობა. სავსებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება აფხაზეთში. ქუთაისის სკოლების სარემონტოდ პირველი ორი კვარტალისათვის გადადებული 490.000 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 75 ათასი მანეთი. თუ ამ საერთო სურათს დავუმატებთ ათასობით სასკოლო მერხის, დაფის, კარადის, მაგიდის და სხვა დგამ-ავეჯის დამზადების საჭიროებას, ნათელი გახდება, თუ რა დიდი და სერიოზული სამუშაოებია წინ. ამასთანავე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა დაამზადონ თვითეული სრულკომპლექტიანი დაწყებითი სკოლისათვის 30, რვაწლიანი სკოლისათვის — 60 და საშუალო სკოლისათვის — 70 კუბური მეტრი შეშა და უზრუნველყონ სკოლებში სათბობის საერთო რაოდენობის 50 პროცენტის მიზიდვა 15 აგვისტომდე, ხოლო დანარჩენისა — 15 ნოემბრამდე.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სახალხო განათლების ორგანოებს მათს მზადებაში ახალი სასწავლო წლისათვის, სასწრაფოდ აღმოფხვრან ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმისათვის, რომ ახალი სკოლების მშენიბლობა დამთავრდეს დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად.

წელს 108 სხვადასხვა სახელწოდების სასკოლო სახელმძღვანელოები გამოიცემა. მათი ბეჭდვა უნდა დამთავრდეს ივნის-ივლისში. სახელმწიფო გამომცემლობა ვერ ასრულებს ამ მხრივ თავის გეგმას. მაგალითად, სახელმძღვანელოთა 80 პროცენტი წიგნის მაღაზიებს 1 ივლისისათვის უნდა ჩაბარდეს, ხოლო დანარჩენი 20 პროცენტი — 1 აგვისტოსათვის. 10 ივნისისათვის კი გამოცემულია მხოლოდ 59 სახელწოდების სახელმძღვანელო. აშკარაა, რომ ამ ტემპით გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის. საქართველოს სსრ კულტურისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის მთავარმა სამმართველომ ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ წიგნები და რვეულები დაწესებულ კალენდარულ ვადებში მიიღონ მოსწავლეებმა. საქართველოს სსრ კულტურის და განათლების სამინისტროებს მართებთ სისტემატური კონტროლი გაუწიონ სახელმძღვანელოთა დროულად და მაღალხარისხოვნად ბეჭდვასა და გამოცემას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში აღნიშნა:

„იმ მიზნით, რომ შემდგომ ამაღლდეს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის სოციალისტური აღმშრდელობითი მნიშვნელობა და იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც საშუალო სკოლას ამთავრებენ, უზრუნველყოფილ იქნას პროფესიების თავისუფალი არჩევის პირობები, დაიწყოს პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება საშუალო სკოლაში და მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რაც საჭიროა საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასასვლელად“.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება და ახალ სასწავლო წელს სახალხო განათლების ორგანოების, სკოლების მთელი მუშაობა ჩვენი პარტიის ამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების განხორციელების ნიშნით უნდა ჩატარდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების კარგად მოწყობას, საცდელ-სასწავლო ხელსაწყოებითა და აპარატებით სკოლების უზრუნველყოფას. მაქსიმალურად გამოვიყენოთ პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვა სკოლებისადმი და სათანადო კაბინეტ-ლაბორატორიებში ბავშვებს გამოვუფშათოთ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას კომუნიზმის მშენებელ ადამიანებად.

მუდამ ყურადღების ცენტრში ვიყოლიოთ მასწავლებელი — მთავარი ფიგურა სკოლაში. იმაზე, თუ რამდენად მაღალი იქნება მასწავლებლის კვალიფიკაცია, რამდენად ღრმად დაეუფლება იგი მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიას, — ბევრად არის დამოკიდებული სკოლის წარმატება, სწავლების ხარისხი, პოლიტექნიკური სწავლების დანერგვა. ზაფხულის პერიოდი თვითეულმა მასწავლებელმა საუკეთესოდ უნდა გამოიყენოს თავისი კვალიფიკაციისა და იდეურ-თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში, რომ მომზადდეს პირობები შემდგომ ხუთწლედში დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში საყოველთაო საშუალო განათლების მთლიანად განსახორციელებლად, — მეტად სერიოზულ მუშაობას გვაკისრებს ახლაც, მომავალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში. გულდასმით უნდა ჩატარდეს 7-15 წლის ბავშვთა და მოზარდთა ზუსტი აღრიცხვა, რათა ისინი ჩავაბათ სწავლებაში. არ გავიმეოროთ წარსულის მაგალითი, როცა მრავალ რაიონში სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა საგრძნობი ნაწილი სკოლის გარეთ იყო დარჩენილი.

მასწავლებელთა საზაფხულო შვებულებაში წასვლამდე, 25 ივნისამდე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას რესპუბლიკის მთელი სკოლების პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტება, ხოლო 15 ივლისამდე სკოლებს უკვე უნდა ჰქონდეთ სასწავლო პროგრამები ყველა საგანში, ჟურნალები და სხვა სასკოლო დოკუმენტაცია.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მუდმივი, შეუნელებელი ხელმძღვანელობა გაუწიონ თვითეულ ქალაქს, თვითეულ სოფელს, ყოველ სკოლას მომავალი სასწავლო წლის მომზადებულად შეხვედრისათვის.

ეჭარის კოლმეურნეობებმა შეასრულეს თამბაქოს რგვის სახელმწიფო გეგმა

ეჭარის კოლმეურნეობებმა 5 ივნისისათვის 100 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს რგვის სახელმწიფო გეგმა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

მოდის ქერის ახალი მოსავალი

წითელწყაროს. („კომუნისტის“ კორ.). ქერი მომწიფდა. მექანიზატორები და კოლმეურნეები შეუდგნენ მკას. მოხავლის აღებას პირველი შეუდგა სოფელ მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. მკაზე გავიდა შირაქის მტს-ის კომბაინერი დ. ტოკლიკიშვილი. სოფელ ზემო ჭედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კომბაინერმა გ. ზაგიევმა პირველ დღეს 5 ჰექტარზე აიღო მოსავალი და ჰექტარზე მიიღო 26 ცენტნერი ქერი. სოფელ წითელწყაროს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთში კომბაინერი ამბ. გოსაშვილი შეუფერხებლად მუშაობს.

ამ დღეებში ქერის აღებას დაიწყებენ სოფელ საბათლოს მიქოიანის სახელობის და სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობებში.

ლაგოდეხი. („კომუნისტის“ კორ.). გუშინ სოფელ ბოლოკიანის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში ქერის მკაზე იმუშავა კომბაინერმა შ. ტალახაძემ. 3 საათში მან მოსავალი აიღო 4 ჰექტარზე. მიუხედავად იმისა, რომ ყანა თხელი იყო, ჰექტარზე მოღებულია 19 ცენტნერი ქერი.

მალე რაიონში დაიწყება პურის მკა, რასაც პირველნი შეუდგებიან აფენის მტს-ის კომბაინერები.

მეფოლადე ა. ფანცულაიას ახალი მიღწევა

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). უკანასკნელ დღეებში რუსთავის ფოლადმდნობელები დიდ საწარმოო წარმატებებს აღწევენ. 8 ივნისს დნობათა მნიშვნელოვანი რაოდენობა — ცხრა დნობა — ჩქარისნული იყო. მეორე დღეს მარტენის საამქროს მეფოლადეებმა კიდევ რვა ჩქარისნული დნობა განახორციელეს.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია სახელოვანმა სტახანოველმა შალვა კუხალეიშვილმა, რომელმაც პირველ ღუმელზე მუშაობის დროს სარეკორდოდ მცირე დროში — 7 საათსა და 55 წუთში განახორციელა დნობა. მან 2,3 ტონით მეტი ფოლადი მიიღო თვითეული კვადრატული მეტრი ქვედიდან.

ჩქარისნული ნადნობები გამოუშვეს მეფოლადეებმა ნ. ბარბაქაძემ — 8 საათსა და 5 წუთში, ვ. ბულგატოვმა — 8 საათსა და 30 წუთში, შ. ზარიძემ — 9 საათსა და 10 წუთში, აგრეთვე გ. სეფისკვერაძემ, ვ. ლევინმა, ი. მოროზოვმა, შ. ბაინდურაშვილმა.

შ. კუხალეიშვილის შრომითმა წარმატებამ მძლავრი ბიძგი მისცა მეფოლადეებს მუშობაში ახალი მიღწევების მოსაპოვებლად.

10 ივნისს ცნობილმა მეფოლადემ, შ. კუხალეიშვილის მეწყვილემ ამირან ფანცულაიამ, რომელიც აგრეთვე პირველ ღუმელზე მუშობდა, კიდევ უფრო დიდი წარმატება მოიპოვა, გადაჭარბა კუხალეიშვილის მიღწევას და ფოლადის დნობა დაამთავრა უაღრესად მოკლე დროში — 7 საათსა და 20 წუთში, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 11 საათისა.







ზუგდიდის რაიონი. წელს აქ ამუშავდა ჩაის მეორე ფაბრიკა, რომელიც დღეღამეში 40 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს ამუშავებს. მაიხში ფაბრიკამ ჩაის ფოთლის გადამუშავების გეგმა 101,7 პროცენტით შეასრულა. სურათზე: ზემოთ — მთავარი საფაბრიკო კორპუსი, ქვემოთ, (მარცხნივ) საოლქო საამქროში, (მარჯვნივ) ფოთლის საღნობი საამქროს დანადგარები.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1953 წლის 10 ივნისისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული იყო 30,3 პროცენტით, ივნისის დავალება მაისის დანაკლისის ჩათვლით კი — 43,1 პროცენტით. ცალკე რაიონებში ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობა შემდეგ სურათის იძლევა: ბათუმის რაიონს ჩაის კრეფის ივნისის გეგმა მაისის დანაკლისით შესრულებუ ლი ჰქონდა 50,0 პროცენტით, ქობულეთის — 66,0, ქედის — 53,8, გალის — 31,9, ოჩამჩირის — 41,8, გულრიფშის — 28,6, სუხუმის — 75,2, გუდაუთის — 69,0, მახარაძის—53,3, ჩოხატაურის — 43,3, ლანჩხუთის — 42,7, სამტრედიის — 20,8, წულუკიძის — 14,6, ქუთაისის — 30,8, წყალტუბოს — 7,2, ტყიბულის — 40,8, ცხაკაიას — 25,2, აბაშის — 18,3, გეგეჭკორის — 32,1, ზუგდიდის — 37,5, წალენჯიხის — 34,7, ჩხოროწყუს — 25,9, ხობის — 13,2, თერჯოლის — 7,8 და ზესტაფონის რაიონს — 7,2 პროცენტით.

წალენჯიხის რაიონის ცნობები არასრულია.

აღნიშნული ცნობები მოწმობენ, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში ივნისში ძლიერ ჩამორჩენენ ხობის, აბაშის, ცხაკაიას, წყალტუბოს, წულუკიძის, გულრიფშის, სამტრედიისა და ჩხოროწყუს რაიონები. ივნისის ცხრა დღის განმავლობაში ჩაის ფოთლის კრეფა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა ქუთაისის, გეგეჭკორის, წალენჯიხის და გალის რაიონებში.

საჭიროა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად მტკიცედ დავიცვათ ხარისხობრივი მაჩვენებლები, არ დავუშვათ ფოთლის გუხეშება, დანაკარგები.

მოვაწყოთ კომბაინერთა შეჯიბრება მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

კომბაინერ მიხეილ ლაზარიაშვილის გამოწვევა მიღებულია!

15 წელია კომბაინერად ვმუშაობ. ყოველწლიურად ახალ წარმატებებს ვაღწევ პურეულის მოსავლის აღებაში. გასულ წელს 25 სამუშაო დღეში „სტალინეც-6“ კომბაინით პურეული ავიღე 472 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარისა, და გავლეწე 4.386 ცენტნერი მარცვალი.

გაზეთ „კომუნისტის“ გუშინდელ, 11 ივნისის ნომერში წავიკითხე ალაზნის მტს-ის ცნობილი კომბაინერის მიხეილ ლაზარიაშვილის წერილი, რომლითაც ის მიწვევს სოციალისტურ შეჯიბრებაში. სიხარულით ვიღებ ამ გამოწვევას, ვებმები შეჯიბრებაში და ჩემის მხრივ ვკისრულობ — 25 სამუშაო დღეში წელს მოსავალი უდანაკარგოდ ავიღო 600 ჰექტარზე. ცნობილია, რომ კომბაინი არა მარტო იჩქარებს პურეულის მკას, არამედ ის დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს. მრავალი წლის გამოცდილებიდან ვიცი. რომ მანქანის შეუფერხებელი მუშაობის ძირითადი პირობაა მისი საუკეთესოდ დაუფლება და გულმოდგინედ მოვლა.

ჩვენი აგრეგატი მზად არის მოსავლის ასაღებად და მხოლოდ სათანადო სიგნალს — პურეულის დამწიფებას ელოდება. „სტალინეც-6“ კომბაინი შესანიშნავი, სრულყოფილი მანქანაა. აგრეგატი დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიციური კადრებით, ტრაქტორისტად იმუშავებს ივანე რაზმიაშვილი, რომელიც საუკეთესოდ არის დაუთლებელი თავის პროფესიას. მეშტურვალად იქნება იოსებ ხელისუფალი. პურის მკის პერიოდში მტკიცედ დავიცავთ ტრაქტორის სვლის სიჩქარეს ასაღები ყანის რელიეფის მიხედვით.

კომბაინის განუწყვეტელი მუშაობისათვის შემოღებული გვექნება აგრეგატის წევრთა შორის მორიგეობითი შესვენება. დილით ადრე ნამის შეშრობამდე გავაწყობთ ტრაქტორსა და კომბაინის ძრავს საწვავითა და წყლით. კომბაინს ვამუშავებთ ღამითაც, სანამ პურეული მშრალია. საჭის ლარტყას გავუკეთებთ სპეციალური ზღუდეები, რომელიც ღამით მუშაობისას მჭრელ აპარატს დაიცავს მიწაზე წამოდებისაგან.

იოსებ ტიტვინიძე.

* * *

დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისათვის დაბალი ყანების ასაღებად ტარაბუას თამასებზე მივაკრავთ სპეციალურ ტილოს. ამით თავიდან ავიცილებთ მოჭრილი ღეროების ჩაცვენას და მის მობნევას ნაწვერალზე.

ჩვენ მოსავლის აღება მოგვიხდება სოფელ ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, წინასწარ დავთვალიერეთ ასაღები ფართობის ადგილმდებარეობა, სრულ წესრიგზე მოვიყვანეთ ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობანი.

ჩემის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ წითელწყაროს რაიონის შირაქის მტს-ის მოწინავე კომბაინერს ივანე მელიქიშვილს.

კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად წელს გამოვიდა ახმეტის მტს-ის ცნობილი კომბაინერი სოლომონ რამაზაშვილი, რომელმაც შეჯიბრების მთავარ პირობად წამოაყენა მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღება, კომბაინის სრული ნაყოფიერებით გამოყენება. ეს წინადადება უსათუოდ დროულია და მიმართულია იქითკენ, რომ მექანიზატორთა და კომბაინერთა შრომა წარმატებით დაგვირგვინდეს — არ დავკარგოთ არც ერთი კილოგრამი პური. ჩვენი აგრეგატი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა პირნათლად შეასრულოს მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყველა დავალება და რესპუბლიკის მექანიზატორებთან ერთად სერიოზული წვლილი შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლების საქმეში.

იოსებ ტიტვინიძე,
ქარელის რაიონის რუისის მტს-ის კომბაინერი.

მოსკოვი

ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან

დასასვენებლად შავი ზღვის სანატორიუმებზე

მოსკოველები დიდი ინტერესით შეხვდნენ ცნობას, რომ გაიხსნა სამგზავრო გემების რეგულარული მიმოსვლა ყირიმ-კავკასიის ხაზზე ოდესასა და ბათუმს შორის. ამ ხაზზე მიმოდიან კომფორტაბელური გემები, რომლებიც შედიან ევპატორიის, სევასტოპოლის, იალტის, ფეოდოსიის, ნოვოროსიისკის, ტუაფსეს, სოჭის, სუხუმის, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში.

ბევრმა მოსკოველმა — მეცნიერმა მუშაკებმა, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, მასწავლებლებმა, დედაქალაქის საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს წელს თავიანთი შვებულება მოგზაურობაში გაატარონ და გემგზავრნენ სამხრეთისაკენ, რათა შემოიარონ ყირიმისა და კავკასიის ულამაზესი ნაპირები.

სემინარი კინოდრამატურგიის საკითხებზე

წარმატებით მიმდინარეობს მეცადინეობა კინოდრამატურგიის მეორე სემინარზე, რომელიც მოაწყო სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირთან ერთად.

სემინარისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად და კინოდრამატურგიის თეორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხავად მოწვეული არიან გამოჩენილი საბჭოთა სცენარისტები, მათ შორის ა. შტეინი, მ. პაპავა და სხვ.

სემინარის მონაწილეთა დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები საბჭოთა კინოს ისეთ დიდ ოსტატებთან, როგორიც არიან რეჟისორები ს. გერასიმოვი, ვ. პუდოვკინი, ა. დოვჟენკო, მ. ჟღიაურელი, ი. პირიევი და სხვები.

სემინარის მუშაობა 18 ივნისამდე გასტანს.

ძუთაისის ბალი მოსკოვში

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის ბაზრებზე ყოველდღე სულ უფრო მეტი რაოდენობით შემოდის ადრეული მწვანილი და ახალი მოსავლის ხილი.

უკანასკნელ დღეებში მოსკოვის სხვადასხვა ბაზარზე პირველად გამოჩნდა ბალი. იგი დედაქალაქში ჩამოიტანეს ქუთაისის რაიონისა და საქართველოს სხვა რაიონების კოლმეურნეებმა.

საქართველოდან მოსკოვში ხილის შემოზიდვა დღითიდღე მატულობს.

„ჭრიჭინა“ ლენინგრადის თეატრში

მარიკა ბარათაშვილის პიესა „ჭრიჭინა“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში, დასადგმელად მიიღო ლენინგრადის დრამატულმა თეატრმა.

სპექტაკლ „ჭრიჭინას“ დადგმა დავალებული აქვს რეჟისორ რ. სუსლოვიჩს. ახალ სპექტაკლს აფორმებს მხატვარი მ. გრიგორიევი.

ირაკლი ანდრონიკოვის კონცერტი

ამ დღეებში მაიაკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მწერალ ირაკლი ანდრონიკოვის საღამო.

მსმენელები გულთბილად შეხვდნენ ი. ანდრონიკოვს, რომელმაც წაიკითხა: „შალიაპინის ყელი“, „ჩემი გამოსვლა ეს ტრადაზე“, საქართველოს სამხედრო გზით მოგზაურობის შესახებ, დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის შესახებ და სხვ.

საღამომ მრავალი მაყურებელი მიიზიდა და დიდი წარმატებით ჩაიარა.

ს. რიჟინაშვილი.

ხუთი მილიონი მანეთი კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის

ბოლოელი, 9 ივნისი. (საკუთარი). ნაძვნარში მდინარე სოფის ნაპირზე გაიხსნა ქარხანა „გომსელმაშის“ პიონერთა ბანაკი. ახალი სეზონისათვის აქ კაპიტალურად შეაკეთეს და გააფართოეს საცხოვრებელი შენობები და სასადილო, ააგეს ვერანდა, მოაწყეს ბლაჟი და სათამაშო მოედანი. ზაფხულის განმავლობაში ბანაკში დაისვენებს მანქანათმშენებელთა 810 ბავშვი.

ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაცია ყოველდღიურად ზრუნავს მუშათა და მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. წელს მანქანათმშენებლებისა და მათი ბავშვების საზაფხულო დასვენებისათვის დაიხარჯება ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი. ყოველ თვეს 50-60 წარმოების მუშაკი იგზავნება ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის კერებში. ზაფხულში 150 მანქანათმშენებელი დასვენებს ერთდროიან დასასვენებელ სახლში. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტი მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს მუშების დიეტური კვებისათვის, დედების დასახმარებლად და სხვა ღონისძიებებისათვის.

დიდი ყურადღება იქცევა წარმოების მუშაკთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას. წელს საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯება მილიონნახევარი მანეთი.

პროფკავშირული კომიტეტი და ქარხანა „გომსელმაშის“ დირექცია წელს საწარმოს კოლექტივის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად დახარჯავენ ხუთ მილიონ მანეთს.

მაღალხარისხოვანი ჩაის დამზადების გაღიდება

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტრომ გადაწყვიტა განახორციელოს მაღალხარისხოვანი ჩაის დამზადების გადიდების მთელი რიგი ღონისძიებანი. უმაღლესი ხარისხის ჩაის წელს გამოუშვებენ შვიდჯერ მეტს, ვიდრე 1940 წელს, და პირველი ხარისხის ჩაის — ერთიორად და უფრო მეტს.

ჩაის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ შემოღებულია ბევრი დიდი წარმადობის მოწყობილობა. გაუმჯობესებულია წარმოების ტექნოლოგია. ამუშავდა შვიდი ახალი ფაბრიკა.

(საკუთარი).

საღეისო თემაზე

საველე ფარდული

კარგად მოწყობილ საველე ფარდულზე ბევრად არის დამოკიდებული მოსავლის აღებაზე მომუშავეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. იგი საშუალებას აძლევს კოლმეურნეობებსა და მტს-ებს მაღალნაყოფიერად გამოიყენონ შრომითი რესურსები, მიაღწიონ სამანქანო ტექნიკის წარმადობის ამაღლებას, გადაჭრით დაიჩქარონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად სწვდებიან მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების საკითხებს, საქმეც წარმატებით მიდის. თუ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში, ეს ამ კოლმეურნეობის გამგეობისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხრივ ადამიანებისადმი მუდმივ ზრუნვასაც უნდა მიეწეროს. მინდვრად მომუშავე მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს აქ ნაყოფიერი შრომის სათანადო პირობები აქვთ შექმნილი. რაც მთავარია, მათთვის კაპიტალური საველე სადგომები მოაწყეს. ეს საშუალებას აძლევს მაჩხაანელ კოლმეურნეებს და მტს-ის მექანიზატორებს ღამითაც იყვნენ მინდვრად და უქმ გადასვლებზე არ დაკარგონ ძვირფასი დროის თვითეული წუთი. კარგი პირობებია ამ მხრივ ამავე რაიონის სოფელ არბაშიკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში.

არის პირიქითაც. იმის გამო, რომ სიღნაღის რაიონის ალაზნის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობათა გამგეობები, აგრეთვე მტს-ის დირექცია სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მექანიზატორთა და კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ამ უკანასკნელთ მინდვრად ღია ცის ქვეშ უხდებათ ღამის თევა. ასეთი მდგომარეობა სხვაგანაც არის.

ზრუნვა კოლმეურნეთა და მექანიზატორთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ადამიანებს, რომლებიც მეტ დროს მინდვრად შრომობენ და ცხოვრობენ, ყველა საჭირო პირობა უნდა შეეფერებათ იმისათვის, რომ მაღალნაყოფიერად გამოიყენონ სამუშაო დრო, დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ყველა სამუშაო.

კოლმეურნეობათა გამსხვილებამ საუკეთესო პირობები შექმნა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ბევრგან სათანადოდ არ იყენებენ.

აუცილებელია ყველა კოლმეურნეობამ დასახლებული პუნქტიდან დაშორებულ უბნებზე მოაწყოს მინდვრის ფარდულები საერთო საცხოვრებლებითა და საზოგადოებრივი კვების სასადილოებით, აგრეთვე ფარდულები მანქანებისა და ინვენტარის შესანახავად, წითელი კუთხე, რადიო, სისტემატურად უზრუნველყოს მშრომელები ახალი ჟურნალ-გაზეთებითა და მხატვრული ლიტერატურით.

ველად მომუშავე მშრომელთა სამსახურში უნდა ჩავაყენოთ რაიონის კულტურის სახლები, სასკოლო და საკოლმეურნეო კლუბები, სამკითხველოები, საექიმო პუნქტები, სავაჭრო ორგანიზაციები.

იწყება მოსავლის აღების პერიოდი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მინდვრად, ფარდულებში, სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადებში, სადაც ახლა უშუალოდ წყდება უხვი მოსავლის აღების ბედი, გადაეტანონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრი, სათავეში ჩაუდგნენ მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, მიაღწიონ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას, უველაფერი გააკეთონ პარტიისა და მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის.

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

აფხაზეთში მზადება ნაადრევად მიაჩნიათ

შარშან აფხაზეთის მთელი რიგი სკოლები მოუმზადებელნი შეხვდნენ ახალ სასწავლო წელს, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაზე. ამასთან იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რემონტისათვის განკუთვნილ თანხებს არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ. მაგალითად, გალის ვაჟთა საშუალო სკოლაში რემონტისათვის განკუთვნილი თანხებით ახალი კორპუსის მშენებლობა დაიწყეს, მაგრამ შემდეგ თანხა არ ეყოთ და მშენებლობა დაუმთავრებელი დარჩა. მოსალოდნელი იყო, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო (მინისტრი ამხ. ს. სიგუა) აქედან სათანადო დასკვნებს გააკეთებდა და ყოველგვარ ზომებს მიიღებდა იმისათვის, რომ წელს ასეთი ნაკლოვანებანი აღარ გამეორებულიყო, მაგრამ როგორც ფაქტები ცხადყოფენ, სამინისტრო ამისათვის თავს არ იწუხებს და ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას ჯერ კიდევ ნაადრევად თვლის.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში სასკოლო შენობების მწვავე ნაკლებობაა, ამ მიმართულებით არავითარი ღონისძიების განხორციელება არ არის გათვალისწინებული. სამინისტროში კვლავ დასაშვებად თვლიან კომპლექტური კლასების არსებობას (ე. ი. როდესაც ერთდროულად ასწავლიან I და III, II და IV კლასების მოსწავლეებს), რომელთა რიცხვი მარტო გულრიფშის რაიონში 93-ს შეადგენს, ხოლო სუხუმის რაიონში — 25-ს. ამასთან ქალაქებში სუხუმსა და ტყვარჩელში ახალი სასწავლო წლიდან გაიხსნება რკინიგზის საშუალო და მუშა ახალგაზრდობის სკოლები, მაგრამ ამაზე სამინისტროში არაფერი იციან. საჭირო-ინვენტარის შეძენისა და რემონტისათვის არავის უფიქრია. აღგილებზე მდგომარეობისა და მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად დაუკვეთეს ინვენტარი და გაანაწილეს თანხები, ამიტომ ზოგიერთ რაიონს იმაზე მეტი აქვს მიცემული, ვიდრე სჭირდება, ზოგიერთს კი ნაკლები.

ჯერჯერობით დადგენილი არ არის ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტი, განსაკუთრებით ეს ეხება დაწყებით კლასებს. წელს სავალდებულო სწავლების გარეშე დარჩა რამდენიმე ათეული ახალგაზრდა, ამ მდგომარეობას კი ამჟამადაც საჭირო ყურადღებას არ აქცევენ.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და აღზრდის საქმეში. ბევრ სკოლაში საგანს არასპეციალისტი ასწავლის, ხოლო მათი მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით შეცვლისათვის არ ზრუნავენ. სამინისტროში არ იციან, რომელ სკოლას რა საგნის სპეციალისტი სჭირდება. ამასთან სამინისტროს კადრების განყოფილება (უფროსი ამხ. გრიგოლაია) სუსტად არის დაკავშირებული სუხუმის ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან, მას არ მოეპოვება იმის ცნობებიც კი, თუ რამდენი და რა საგნის სპეციალისტი ამთავრებს წელს ინსტიტუტს.

აფხაზეთში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში ჯერჯერობით დიდი ნაკლოვანებებია. ამოცანა ის არის, რომ მთელი სერიოზულობით გავშალოთ მზადება, რისთვისაც პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა აქედანვე უნდა მიიღონ საჭირო ზომები.

გ. წიკლაური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გავაუმჯობესოთ სკოლის მატერიალური ბაზა

ქ. ზუგდიდის პირველი რუსული საშუალო სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ბაზა არ უვარგა, ერთგვარ წარმატებებს აღწევს. ეს ცხადყო მიმდინარე საგაზაფხულო გამოცდებმა.

სკოლას გაცილებით უკეთესი აკადემიური წარმატებები ექნებოდა, აქ რომ შექმნილი იყოს მეცადინეობისათვის საჭირო ნორმალური პირობები. საქმე ის არის, რომ 22 კლასი, ხუთასზე მეტი მოსწავლით, მეცადინეობს ორ სხვადასხვა შენობაში, რომლებიც ერთმანეთს ერთი კილომეტრით არიან დაშორებული. ამას გარდა სკოლის ძირითად შენობაში მესამე ცვლად მეცადინეობს ქალაქის მუშა ახალგაზრდობის სკოლა, რის გამო რუსულ საშუალო სკოლას საწრეო მუშაობის წარმოების საშუალება არა აქვს.

ერთადერთ არასაკლასო ოთახში მოთავსებულია: სკოლის დირექცია, სამასწავლებლო, კანცელარია, სასკოლო ბიბლიოთეკა და კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყოები. ამავე ოთახში ტარდება კომკავშირული ორგანიზაციის კრებები. ამრიგად, აქ არ არსებობს სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისათვის საჭირო მინიმალური პირობებიც კი.

უკანასკნელ წლებში არაერთხელ დაისვა ზუგდიდის რუსული საშუალო სკოლისათვის შენობის გამონახვის საკითხი, მაგრამ ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

საჭიროა ახალი, 1953-1954 სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში, გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები — შეირჩეს შესაფერი შენობა და გადაჭრით გაუმჯობესდეს რუსული საშუალო სკოლის მატერიალური ბაზა.

შ. მოსიძე.

ვ. მაიაკოვსკის ეს დიდი, თითქმის სამმეტრიანი ქანდაკება თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს გურამ კორძახიას სადიპლომო ნამუშევარია.

ახალგაზრდა მოქანდაკემ წარჩინებით დაიცვა დიპლომი და ემზადება მოსკოვის სამხატვრო აკადემიის ასპირანტურაში შესასვლელად. მიმდინარე წლის ივლისში სრულდება 60 წელი ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან. მაიაკოვსკის ძეგლის შექმნა, რაც მთავრობის გადაწყვეტილებით დასახული იყო ჯერ კიდევ 1940 წელს, ისევე როგორც სხვა მწერლების ძეგლების შექმნა, შეუწყნარებლად ჭიანურდება დღემდე. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვის საბჭოთა მხატვრების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობას, რომელიც მეტად გულგრილად ეკიდება ახალგაზრდა ნიჭიერ მოქანდაკეთა დაწინაურებას.

მაგალითად, გ. კორძახიას ნამუშევარი არც კი გამოუფენიათ განსახილველად სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულთა სადიპლომო ნამუშევრების ტრადიციულ გამოფენაზე 1952 წელს, თუმცა იგი უეჭველად იყო ამის ღირსი. და ეს ერთეული შემთხვევა როდია.

განა ასეთი ფაქტები არ მოწმობენ არასწორ დამოკიდებულებას შემოქმედებითი კადრების ზრდისადმი, პიროვნებათა გარკვეული წრის მისწრაფებას მონოპოლიისადმი სკულპტურის დარგში?

სწორი იქნება, რომ ასეთი მცდარი პრაქტიკა შეიცვალოს და ამიერიდან უფრო ფართოდ, ხალისით იქნან ჩაბმული ახალი, ნიჭიერი ახალგაზრდა ძალები ძეგლების პროექტებზე მუშაობაში.

„ლიტერატურნაია გაზეთა“, 9-VI.

ახალი წიგნები

ვ. ჩიკვაძე. **ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის ისტორიიდან.** საბლიგამი. 1953 წ., ტირაჟი 8.000, გვ. 123, ფასი 2 მან. 30 კაპ.

ა. ხუნდაძე. **მახარაძის საბავშვო სახლი.** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის გამომცემლობა — 1953 წ., ტირაჟი 1.000, გვ. 75, ფასი 3 მან.

გაზეთების ფურცლებზე

კონტრასტი ორი ქალაქის მეტალურგიულ ქარხნებს შორის

31 მაისის ნომერში რუსთავის საქალაქო გაზეთმა „მეტალურგიისათვის“ გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ჩიკაგოს და რუსთავის მეტალურგთა ცხოვრების ამსახველი ნასალები. გაზეთში გადაბეჭდილია „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ამას წინათ გამოქვეყნებული სტატია — „როგორ ცხოვრობს ფოლადმსხმელი ჯოზეფ პადილია“, აგრეთვე ამონაწერები ჟურნალ-გაზეთებიდან.

„ჩიკაგოს მოსახლეობა ისევე როგორც მთელი ამერიკის შეერთებული შტატებისა, — ნათქვამია გაზეთში, — წარმოუდგენელ გაჭირვებას განიცდის ბინის სიძვირის გამო. იძულებული არიან იცხოვრონ ბნელ სარდაფებსა და ჯურღმულებში. ბინის ქირას ხმარდება ჩიკაგოელი მეტალურგების ისედაც მცირე ხელფასის 25-40 პროცენტი. ამ ქალაქში მეტალურგთა ცხოვრების პირობები იმდენად ცუდია, რომ ძნელია შევადაროთ იმ პირობებსაც კი, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ პირუტყვის შენახვის პირობებად არის დაწესებული“.

სულ სხვანაირია ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამაზე მოუთხრობს მკითხველებს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ოსტატი ლ. ხარბედია.

„ჩვენს საშობლოში ახალი გიგანტური მშენებლობა და წარმოების განუწყვეტელი ზრდა იმის შედეგია, რომ ჩვენ, საბჭოთა მეტალურგებს, შექმნილი გვაქვს მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების ყველა პირობა, ვართ ცხოვრების სრულფფლებიანი ბატონ-პატრონები...“

შემდეგ რუსთაველი მეტალურგი აგვიწერს თავის სისხლსავსე ხალისიან ცხოვრებას, აღნიშნავს, თუ რა მონდომებით სწავლობს იგი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე და ა. შ.

საბჭოთა მეტალურგების ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებაზე მოგვითხრობენ აგრეთვე მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს უფროსი ოსტატის პ. ბულგაკოვის, ე. ივანოვას და სხვათა წერილები.

ამ თემატიკური მასალის დაბეჭდვით გაზეთმა „მეტალურგიისათვის“ კარგი საქმე გააკეთა. საჭიროა გაზეთის რედაქციის მუშაკებმა მომავლისათვის მხედველობაში იქონიონ ის გარემოება, რომ ასეთი თემატიკური მასალის გამოქვეყნებისას შთაბეჭდილების მთლიანობისათვის უმჯობესია მთელი მასალა ერთ ენაზე დაიბეჭდოს. ახლა კი ამ ორი გვერდი მასალიდან, როდესაც ნაწილი ქართულ ენაზეა, ხოლო ნაწილი რუსულ ენაზე, მკითხველს, რომელმაც ორივე ენა არ იცის, მთლიანი შთაბეჭდილება არ დარჩება.

უკანასკნელი ფოსტა

კარგი წამოწყება

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, პოლიტგანყოფილებისა და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „სტალინურმა ლოკომოტივმა“ 9 ივნისს (№ 69) ორივე შიდა გვერდი საერთო სათაურით — „ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ რკინიგზელთა შემოქმედებითი ინიციატივა“ დაუთმო ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ამავე საკითხს გაზეთმა მიუძღვნა მოწინავე წერილი. წარჩინებული რკინიგზელები თავიანთ წერილებში მოგვითხრობენ, თუ როგორ აღწევენ წარმატებებს საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებაში, როგორ იბრძვიან ვაგონებისა და ლოკომოტივების ბრუნვის დასაჩქარებლად, სახელმწიფო ტვირთზიდვის დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, ლოკომოტივების, ლიანდაგისა და მექანიზმების საექსპლოატაციო ვადების გასახანგრძლივებლად, საერთოდ მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით საყურადღებოა სამანევრო ოპერაციების ჩქაროსნულად მოწყობის ტექნიკის შესახებ თბილისის სატვირთო სადგურის შემდგენლის ა. კაკაბაძის, მელიანდაგთა მუშაობის შესახებ სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ლიანდაგის შემკეთებელთა კოლონის უფროსის შ. ჩაჩავას, ორთქლმავალთა შეკეთებათაშორისი ვადის გახანგრძლივების საკითხზე თბილისის საორთქლმავალო დეპოს უფროსი მემანქანის ფ. მალინსკის და თბილისის საელმავლო დეპოს ელექტროზეინკლის პ. ცაცანაშვილის წერილები.

ასეთი მასალების დაბეჭდვით, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ ზოგიერთი ნაკლი და მეტ დახვეწას მოითხოვენ, „სტალინურმა ლოკომოტივმა“ კარგი საქმე გააკეთა. ამით იგი დაეხმარება რკინიგზელებს მუშაობის საუკეთესო ხერხების მასობრივად ათვისებაში, საერთო აღმავლობის მიღწევაში.

მაგრამ გაზეთმა ამით არ უნდა შემოფარგლოს თავისი ეს წამოწყება. რკინიგზის ტრანსპორტზე აქა�აქტუალური საკითხებია მძიმე წონის მატარებლთა ტარების ოსტატობის მასობრივად დაუფლება, ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთების ხარისხის მკვეთრად ამაღლება, კლიენტურასთან მუშაობის გაუმჯობესება, მეზავრთა კულტურული მომსახურების უზრუნველყოფა როგორც მატარებლებში, ისე სადგურებში. გაზეთი „სტალინური ლოკომოტივი“ ამ საკითხების ფართოდ გაშუქებით დიდად დაეხმარება რკინიგზელებს პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პირნათლად შესრულებაში.

პარტიული მუშაკის დასახმარებლად

პირველადი პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა

პარტიული ორგანოების ანგარიშგება-არჩევნების შედეგად ხელმძღვანელობაში მოვიდა ბევრი ახალგაზრდა კომუნისტი. მათი უმრავლესობა პირველად არის არჩეული პარტიული ორგანიზაციის მდივნად, რაიონული და საქალაქო კომიტეტის წევრად. ამიტომ ამ ამხანაგებს ჯერ კიდევ არა აქვთ პარტიული მუშაობის სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

რედაქციას პირველადი ორგანიზაციების მდივნების მრავალი წერილი მოსდის, რომლებშიც ისინი მოითხოვენ, რომ სისტემატურად დაიბეჭდოს მეთოდური ხასიათის წერილები შინაპარტიული მუშაობის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დაგეგმვა, პარტიული კრების მომზადება და ჩატარება, კომუნისტებს შორის დავალებათა განაწილება, შესრულების შემოწმების მოწყობა და სხვ.

დღეს ვაქვეყნებთ პირველ წერილს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების დასახმარებლად.

*

XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა. პირველადი ორგანიზაციები ჩვენი პარტიის საფუძველს წარმოადგენენ. ისინი მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მასებს მჭიდროდ აკავშირებენ პარტიასთან.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა ფართო ორგანიზაციული და საგაგანდაგო მუშაობა გასწიოს პარტიის მოწოდებათა და გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ხელი შეუწყოს რაიკომს, საქალაქო კომიტეტს ან პოლიტგანყოფილებას მთელ მის პრაქტიკულ საქმიანობაში. იგი მოწოდებულია პარტიაში მიიზიდოს ახალი წევრები, მოაწყოს პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური განათლება და მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში მათ მიერ ცოდნის მინიმუმის შეთვისებისადმი კონტროლი, დარაზმოს მასები საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის საბრძოლველად. პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოვალეა ულმობელი ბრძოლა გამოუცხადოს უნიათობას და საქმის უყაირათოდ გაძღოლას, ყოველდღიურად იზრუნოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, გაშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდოს კომუნისტები და ყველა მშრომელი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანზე, მის პოლიტიკურ მომზადებასა და ორგანიზატორულ უნარზე. ბუნებრივია, რომ მდივნის ყოველდღიურ საქმიანობაში მრავალი საკითხი წამოიჭრება, მაგრამ იგი არ უნდა გამოედევნოს წვრილმანებს, რათა ყურადღებიდან არ გამორჩეს მთავარი, ძირითადი. პარტიული მუშაობის ხელოვნება სწორედ ის არის, რომ უნარი შეგწევდეს მრავალ ათეულ საკითხთა შორის გამონახო ძირითადი, რომელზეც დამოკიდებულია მთელი საქმის წარმატება, ყველა დანარჩენი საკითხის მაღალხარისხოვნად გადაწყვეტა.

სწორედ ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მოვალეა თავისი მუშაობა მოაწყოს ორგანიზებულად, შინაარსიანად, შედგენილი ჰქონდეს მოქმედების მოფიქრებული გეგმა. გეგმიანი მუშაობა ხელს უწყობს კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების გაძლიერებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. უგეგმობა კი იწვევს თვითდინებას, ძალისა და საშუალებების დაქსაქსულობას, კომუნისტების აქტივობის დაქვეითებას და მუშაობაში ჩამორჩენას.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის დაგეგმვა მნიშვნელოვანი საქმეა და მას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. კარგად მოფიქრებული და კომუნისტების აქტიური მონაწილეობით შედგენილი გეგმა სახელმძღვანელოა მოქმედებისათვის.

როგორ და რა ვადისათვის უნდა შეადგინოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა? როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე უკეთესი და მოხერხებულია თვიური სამუშაო გეგმის შედგენა, რომელსაც პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება ამტკიცებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი პარტიული ხელმძღვანელები, რომლებიც სამუშაო გეგმის შედგენას მეტად უბრალო და უმნიშვნელო საქმედ თვლიან. ამიტომ მათ ხშირად ავიწყდებათ გეგმის წინასწარ მოფიქრებულად, გულმოდგინედ შედგენა და მას თვით პარტიული კრების მიმდინარეობის დროს ნაუცბათევად ჩამოსწერენ ხოლმე.

სამუშაო გეგმა უნდა ასახავდეს იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება განზრახული აქვს პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ არასწორად იქცევიან პარტიული ორგანიზაციების ის მდივნები, რომლებიც გეგმაში ძირითადი, გადამწყვეტი საკითხების ნაცვლად მათგან გამომდინარე საკითხებს ითვალისწინებენ. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციის გეგმაში გათვალისწინებული იყო ასეთი საკითხები: პარტიაში ახალ წევრთა მიღება, მომავალი თვის სამუშაო გეგმის დამტკიცება, კომუნისტებს შორის დავალებების განაწილება, რაიკომის ბიუროს დადგენილების განხილვა, აგიტატორების გამოყოფა და დამტკიცება. გასაგებია, რომ ყველა ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, მაგრამ გეგმაში მათი გათვალისწინება საჭირო არ არის, ვინაიდან ისინი პარტიული მუშაობის ძირითადი საკითხების ნაწილს შეადგენენ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შინაპარტიული მუშაობის, პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკური სწავლების, პოლიტიკური აგიტაციის დაყენების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საბჭოთა დაწესებულებების აპარატის მუშაობის გაუმჯობესების საკითხები. სამუშაო გეგმაში უნდა ჩაიწეროს გათვალისწინებულ ღონისძიებათა შინაარსი და მათი განხორციელების ვადები, ამასთან საჭიროა აღინიშნოს, თუ ვისი აქვს დავალებული მათი შესრულება, ვინ მოაწყობს შესრულების შემოწმებას და ვინ მოახსენებს მის შესახებ პარტიულ კრებას.

პარტიული ორგანიზაცია მებრძოლი თვითმოქმედი უჯრედია, რომელიც აზროვნებს და ცხოვრობს სისხლსავსე ცხოვრებით. ამიტომ არ შეიძლება სამუშაო გეგმა ერთფეროვანი და შაბლონური იყოს. სხვადასხვა ტიპის პარტიულ ორგანიზაციებს სამუშაო გეგმებიც სხვადასხვა უნდა ჰქონდეთ. საწარმოო ტიპის პარტიული ორგანიზაციის გეგმა უეჭველად უნდა განსხვავდებოდეს სოფლის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის გეგმისაგან, ხოლო ამ უკანასკნელისა — საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაციის გეგმისაგან.

საწარმოო ტიპის პარტიულ ორგანიზაციებს წესდებით მინიჭებული აქვთ ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლის უფლება. ცხადია, სამუშაო გეგმაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს ამ საკითხს. ამ ორგანიზაციათა სამუშაო გეგმები, მაგალითად, სასურველია ითვალისწინებდეს: მუშათა ახალი კადრების მომზადებას, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობასა და განვითარებას, შრომის ნრვატორული მეთოდების დანერგვასა და გავრცელებას, მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ამავე დროს თვით საწარმოო ტიპის პარტიულ ორგანიზაციებს შორისაც არის განსხვავება. ამიტომ გეგმის შედგენის დროს საჭიროა გავითვალისწინოთ ცალკეული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მეთოდებისა და შინაარსის თავისებურება.

საბჭოთა დაწესებულების პარტიული ორგანიზაციის გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ ისეთი საკითხები, როგორიც არის: კომუნისტების ბრძოლა აპარატის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ნთხოვნელთა მიღების ორგანიზაციის უკეთ მოწყობისათვის, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმის სანიმუშოდ დაყენებისათვის...

ცნობილია, რომ სამეურნეო წარმატებების სიმტკიცე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია პარტიული მუშაობის დონეზე, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის აქტივობის ზრდაზე. ამიტომ პირველადი პარტიული ორგანიზაციის გეგმაში შინაპარტიული მუშაობა ყოველთვის პირველ საკითხად უნდა იდგეს. ამ განყოფილებაში გათვალისწინებული უნდა იყოს კრებების, პარტბიუროს სხდომებისა და თათბირების დღის წესრიგი. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ არა მარტო დახურული, არამედ ღია პარტიული კრებების მოწვევაც. პარტიული ორგანიზაციის მდივანი მოვალეა კრების მოწვევის დროისა და კრებაზე განსახილველი საკითხების შესახებ წინასწარ გულდასმით მოეთათბიროს კომუნისტებს.

სწორი არ არის, როცა მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სამუშაო გეგმებში მხოლოდ კრებებისა და პარტბიუროს სხდომების მოწვევას ითვალისწინებენ. ასე იქცევიან, მაგალითად, ისეთი მოწინავე პარტიული ორგანიზაციებიც კი, როგორიც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და კამეოლ-მაუდის ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციები არიან. აუცილებელია სამუშაო გეგმაში ამასთან ერთად გათვალისწინებულ იქნას პოლიტიკური მოხსენებებისა და ლექციების გამართვა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის გეგმის შემდგომი განყოფილება უნდა მოიცავდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს. ამ განყოფილებაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განსახილველად მუშა-მოსამსახურეთა ან კოლმეურნეთა საერთო კრების მოწვევა. გეგმის მიხედვით კვირაში ერთხელ უნდა მოეწყოს აგიტატორთა კოლექტივის მეცადინეობა.

საჭიროა ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის გეგმაში საკითხადაა ადგილი დაეთმოს პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მათი როლის ამაღლების საკითხებს.

პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას. ამიტომ გეგმაში სისტემატურად უნდა გავითვალისწინოთ კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური სწავლების, მშრომელების საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის საკითხები.

ზოგჯერ ხდება, რომ ცხოვრება დღის წესრიგში აყენებს ისეთ აქტუალურ საკითხებს, რომლებიც გეგმაში არ არის გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, აუცილებელია, რომ ასეთი გადაუდებელი საკითხები ოპერატიულად და სწორად იქნას გადაწყვეტილი და არ ვუყურეთ იმას, არის თუ არა იგი გეგმაში შეტანილი.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის გეგმის შედგენა და მისი პარტიულ კრებაზე დამტკიცება საქმის მხოლოდ დასაწყისია. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოვაწყობთ გეგმის შესრულების ორგანიზაციას, რომ იგი ფარტინა ქაღალდად არ გადაიქცეს.

სამუშაო გეგმების შედგენაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს ქმედითი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა. კერძოდ ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ რაიონული და საქალაქო კომიტეტების ინსტრუქტორებმა. მათი მოვალეობაა პარტიული ორგანიზაციის მდივანს ეურჩიონ გეგმის მოფიქრებულად შედგენა, მასში ყველა ძირითადი საკითხის გათვალისწინება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი რაიკომი და საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ როგორ გეგმავენ თავიანთ მუშაობას პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

სამუშაო ეგმის სწორად, მოფიქრებულად შედგენა და მისი შესრულების ორგანიზაციის უზრუნველყოფა პარტიული მუშაობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ვ. შავგულიძე.

ფელეტონი

კამპანიის კაცი

რა მანქანით დასრიალებს,
რა კოსტუმი აცვია,
სუფრაზე ხომ ოქრო არი,
მუდამ თავიკაცია.

ქეიფს არსად უღალატებს,
სმას მიჰყვება ბოლომდი.
იმდენს დალევს, რომ აჭარბებს
ის ყოველთვის მოლოდინს.

საქმეშიაც შემტევია,
მომთხოვნია, მკაცრია.
ერთი სიტყვით, შიგნით, გარეთ
კამპანიის კაცია.

აი პურის თესვის დროა,
მთესველს უცდის მარცვალი.
— ვინაც თესვას უღალატოს,
იმის თვალებს ნაცარი.

დატრიალდა, დაფაცურდა,
შეაბეზრა ყველანი,
მოიმარჯვა ტელეფონი,
არ დაზოგა მელანი.

ბრიგადირებს დაუძახა,
ყველა ერთად შეყარა.
თესვას იწყებს, ის არა ჰგავს
ცულლუტსა და მკვეხარას.

მებაღეც და მენახირეც
ყველა ველზე გაჩნდესო.
რის ბაღები, რის ნახირი,
პური უნდა დათესონ!..

დათესა და მიატოვა,
აღარ დარდობს არაფერს.
მარგვლა? მორწყვა? მითხარ, ყანას
ხომ არ უნდა გადაყვეს!

გეგმა დროზე შეასრულა,
რა ყოჩაღი კაცია!
მორჩა თესვის კამპანიას,
შეისვენოს პაწია.

სანამ თვალებს გააბელოდა
ყანის მკის დროც მოვიდა.
აბა, ჩქარა, იგი საქმეს
ვერ უყურებს შორიდან...

და აიღო მოსავალი,
ნუღარ მკითხავთ როგორი.
თვითონვე თქვა თავმჯდომარემ:
— ო, ამისი მომგონი!..

ჩამორჩენის ცოცხალ ფაქტებს
მოარიდა თვალები.
ვინ გაუგებს, მთავარია
დროზე მომკა ყანები.

ხორბალი სად მოათავსოს,
აზრადაც არ მოუვა.
კმარა თუ მკის კამპანია
ჩაატარა დროულად.

ო, სათესლე თუ აიღეს
დიდი საქმე იქნება.
ახალ ბელელს ვინა ჩივის,
ძველიც ვერ გაივსება.

ერთ მშვენიერ საღამოჟამს
წარსდგა ხალხის წინაშე.
ხან ხმას უწევს თავმჯდომარე,
ხან საოცრად ინაზებს.

— ჩვენზე ადრე ვინ დათესა,
ან ვინ მომკა ყანები?
— შედეგებზე მოგვახსენეთ, —
შესძახიან ქალები.

აქ რაღა თქვას, რით დაიწყოს,
ამას კი არ ელოდა.
ის კრიტიკას ითმენს ზევით,
ვერ აიტანს ქვემოდან.

რა ქნას, თუ კი მოსავალი,
არ მოვიდა უხვადა.
მან ხომ ყველა კამპანიას
ხარკი გადაუხადა!

— როგორ ბედავთ, აღარ მინდა
მუშაობა თქვენთანა.
ჩემს უნარს და საქმის ძალას
იცნობს მთელი ქვეყანა.

სწამდა, ლელოს გაიტანდა
ძველებურად მუქარით,
მაგრამ არა, ჩამორჩენილს
არვინ შეხვდა მუდარით.

ვიღარ იხსნეს, რომ იხსნიდნენ
„ძმები“ ყოვლისწლიურად.
კამპანიის კაცი ერთხმად
მოხსნეს კამპანიურად.

ვ. ბოკრაძელი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე“ — ამ სათაურით „კომუნისტის“ 1953 წლის 20 მაისის ნომერში დაიბეჭდა მოწინავე წერილი, რომელშიც მხილებული იყო ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონთან ერთად ორჯონიკიძის რაიონში საგზაო მშენებლობის ჩამორჩენა.

საქართველოს კ. პ. ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ ამ დღეებში სპეციალურად განიხილა რაიონში საგზაო მშენებლობის მიმდინარეობის საკითხი და სწორად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა. რაიკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

* * *

„მეტი ყურადღება ხაშურის კეთილმოწყობას“ — ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 29 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქალაქ ხაშურის კეთილმოწყობის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

წერილში დასახელებული ფაქტები შეამოწმა და განიხილა პარტიის ხაშურის რაიკომის ბიურომ, რომელმაც კრიტიკა მართებულად ცნო. დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მანქანათმშენებელთა სტახანოვერ სკოლაში

ბათუმი. (საკ. კორ.). ბერიას სახელობის ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანასთან შექმნილია და წარმატებით მუშაობს სტახანოვური სკოლა, სადაც სწავლობენ წამყვანი პროფესიის მანქანათმშენებლები — ხარატები, მექვაბეები, მეყალიბეები, მრანდავები, მჭედლები და ა. შ.

სტახანოვურ სკოლაში მუშები სწავლობენ გამოჩენილ სტახანოველთა მუშაობის მოწინავე მეთოდებსა და ხერხებს. ხარატები ეუფლებიან ქარხნის მრავალდაზგოსანი ხარატების შ. ვადაჭკორიასა და მ. რუზიაკის, მექვაბეები და მჭედლები — მექვაბეთა ბრიგადის ხელმძღვანელ ნ. სიმკოვის, მეყალიბეები — საუკეთესო მეყალიბის მ. იზრაელიანის მუშაობის მოწინავე მეთოდებს.

სტახანოვური სკოლების მსმენელებისათვის ეწყობა ლექციები.

ალპურ საძოვრებზე

აფხაზეთის სოფლის გზებზე და მთის ბილიკებზე მიერეკებიან ცხვრის ფარებს, მსხვილფეხა რქიანი საქონლისა და ცხენის ჯოგებს. ეს არის კოლმეურნეობათა პირუტყვი, რომელიც მიდის 2.000 — 2.500 მეტრზე ზღვის დონედან მდებარე მთის ალპურ საძოვრებზე.

აფხაზეთი მდიდარია საზაფხულო მთის საძოვრებით. აქ არის მრავალნარი ბალახი, ანკარა წყალი, საუცხოო მთის ჰაერი, რაც საუკეთესო პირობებს ქმნის პირუტყვის გასუქებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

აქ, მთებში, მიაქვთ დვრიტა და მოწყობილობა ყველის დასამზადებლად. მიღებულ რძეს ამუშავებენ და კოლმეურნეობებში იგზავნება მზა პროდუქცია — შესანიშნავი ადგილობრივი ყველი „სულგუნი“.

მწყემსები ყველაფრით არიან მომარაგებული. ალპურ საძოვრებზე იგზავნება გაზეთები და ლიტერატურა. აქ ეწყობა მოძრავი სამედიცინო და ვეტერინარული პუნქტები.

გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“.

სახლი მტს-ის მუშაკებისათვის

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). ნაფარეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექციამ მუშა-მოსამსახურეებისათვის 16-ოთახიანი საცხოვრებელი სახლი აგო.

ახალი კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს სახელოსნოს გამგემ ი. შიუკაშვილმა, ხარატმა ვ. პატარაშვილმა, ზეინკალმა დ. ბურდიაშვილმა და სხვებმა.

რუმინეთი მუსიკის დიდი კონცერტი

რუმინეთის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის ამსახველი გამოფენის გახსნის დღეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მოაწყო რუმინეთის მუსიკის დიდი კონცერტი. საღამოს დაესწრნენ დედაქალაქის მოწინავე საზოგადოებრიობა, მწერლები, კომპოზიტორები, ხელოვნების მუშაკები, წარმოების სტახანოველები.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტმა პ. ხუჭუამ კონცერტის წინ მოკლედ ილაპარაკა რუმინეთის მუსიკის განვითარების შესახებ, დაახასიათა ცალკეული რუმინელი კომპოზიტორები და მათი ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებმა, საქართველოს სახელმწიფო კაპელამ (მხატვრული ხელმძღვანელი სტალინური პრემიის ლაურეატი ო. თაქთაქიშვილი) და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა (დირიჟორი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი გ. კილაძე). შესრულებულ იქნა რუმინელი კომპოზიტორების ხ. ჟერაის, ტ. ბრედიჩანუს, გ. დენდრიდის, ს. პორუმბესკუს, ი. სკარლატესკუს, ლ. კლეპერის, ს. დინკუს, ს. დიმიტრესკუს, გ. კუკუს, ვ. გიმიშის და სხვათა ნაწარმოებები.

ხელოვნური დღის სინათლე

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში, აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სუხუმში და სხვა ქალაქებში ნახავთ შუქრეკლამას, სხვადასხვა ფერის მანათობელი მილებით გაკეთებულ აბრებსა და დამშვენებულ ვიტრინებს. გარდა ამისა, ბევრ საწარმოში, კულტურულ და სანახაობითს დაწესებულებაშიც გამოყენებულია მანათობელი მილების შუქი, ეგრეთწოდებული ხელოვნური დღის სინათლე.

ამ შუქრეკლამებსა და ხელოვნური დღის სინათლის ნათურებს ამზადებს თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის კულტსაქონლის საწარმო. მან ამიერკავკასიის რესპუბლიკების საწარმოებში პირველმა აითვისა დღის სინათლის ნათურების დამზადებისა და მოწყობის ტექნოლოგია. მოკლე ხანში ხელოვნურმა დღის სინათლემ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. იგი მართლაც დღის სინათლის შთაბეჭდილებას ტოვებს, მის შუქზე ყველაფერი ბუნებრივად მოჩანს, თვალს არ ღლის, ამავე დროს ეკონომიურია—3-ჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს, ვიდრე ჩვეულებრივი განათება.

დღის სინათლის ნათურებისაგან კეთდება ლამაზი ჭაღები, მაგიდის ლამპები. როგორც მოსახლეობისათვის, ისე სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის. ამ საქმის განვითარებას ჩვენში დიდი მნიშვნელობა აქვს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეტად სასარგებლო საქმის განვითარებას დღემდე საჭირო ყურადღება არ ექცევა. საამქროს აკლია სხვადასხვა მასალები, რომლებიც აგდილობრივ საკმაო რაოდენობით მოიპოვება (სპეციალური რკინა, მავთული, პლასტმასის ნაწილები). თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ და სხვა ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ დარგის განვითარებას.

აჭარის ასსრ. კურორტი ქობულეთი. სურათზე: სახტუმრო „ქობულეთის“ შენობის ხედი.
ფოტო ვ. ზარიძისა.

◁ ◇ ▷

ერთ-ერთი უდიდესი, საკავშირო მნიშვნელობის კურორტია.

ქობულეთი ხალხს იზიდავს არა მარტო განსაკუთრებული სილამაზით და სტუმარმოყვარეობით, — მისი ჰავა მდიდარი და მრავალფეროვანია სამკურნალო თვისებებით. აქ იკურნებიან გულისა და სისხლძარღვების ავადმყოფობით, ნევრალგიითა და ნევრიტებით, ტუბერკულოზის დახურული ფორმით, რევმატიზმით, ძვლის ტუბერკულოზით, ინფაზით და სხვა მრავალი სნეულებით დაავადებულნი. ყველაზე დიდი მკურნალია აქ ბუნება — ზეზე, ჰაერი, ზღვა, ზღვის შხაპები, მისი თბილი აბაზანები.

ამიტომ ისვენებს და მკურნალობს აქ ზაფხულში და შემოდგომაზე ათეულ ათასობით ადამიანი. დამსვენებელთა რიცხვი წლითიწლობით მატულობს. 1951 წელს 17 ათასი მოგგარაკე იყო, 1952 წელს კი 24 ათასი.

* * *

ქობულეთში შესანიშნავი ამინდი დგას. ახმაურდა ბაღები, ჰარკები, გაიფინა ხალხი პლაჟზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კურორტთა სამმართველოს პირველ სანატორიუმს სეზონის გახსნის პირველ დღეს 140 დამსვენებელი ესტუმრა. სანატორიუმის ხელმძღვანელობამ (მთავარი ექიმი შ. გოცირიძე) დროზე მიიღო ზომები, რომ სანატორიუმი ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა დამსვენებლებს.

ამ სანატორიუმს რამდენიმე პატარა შენობა აქვს და ამის გამო ძნელი ხდება მკურნალობისა და დასვენების რეჟიმის დაცვა. მაგრამ სანატორიუმის მომსახურე პერსონალის, ექიმებისა და მედიცინის დების ენერგიული მუშაობით საქმე კარგად არის დაყენებული. გარდა თბილი აბაზანებისა აქ დამსვენებლებს შესაძლებლობა აქვთ იმკურნალონ ფიზიო და ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტებში. სანატორიუმს აქვს ბიოქიმიური ლაბორატორია და საკუთარი აფთიაქი.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებს, სამინისტროებს, სხვადასხვა ორგანიზაციებს ქობულეთში თავიანთი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები აქვთ. აქ ისვენებენ და მკურნალობენ არა მარტო იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების თანამშრომლები, რომლებსაც სანატორიუმი თუ დასასვენებელი სახლი აქვთ ქობულეთში. დამსვენებელთა სამოცდაათი პროცენტი ამ სამკურნალო ინსტიტუტებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან ჩამოდის. მეტი წილი მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადის, კიევის და ერევნის საწარმოთა მუშებია.

მესამედ ჩამოვიდა ქობულეთში მოსკოველი ახალგაზრდა კონსტრუქტორი ლ. უდმილა კორაბელნიკოვა. იგი წინათ ისვენებდა ყირიმის კურორტებზე, სოჭში, მის ქარხანას მოსკოვს გარეთ თავისი საკუთარი დასასვენებელი სახლი აქვს, მაგრამ კორაბელნიკოვა ისე მოხიბლა ქობულეთმა, რომ სოჭსა და ყირიმს აქ დასვენება არჩია.

— ჩვენი ქარხნიდან ექვსი ინჟინერი და კონსტრუქტორი ჩამოვედით, — ამბობს კორაბელნიკოვა, — აქ ჩვენ გვიტაცებს ყველაფერი — ზღვა, პლაჟი, ბუნება, ჰავა, ხალხი და ის ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ჩვენდამი იჩენენ. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალ წელსაც აქ ჩამოვიდეთ.

აღტაცებით ლაპარაკობენ ქობულეთზე საქართველოს სარეწო კოოპერაციის დამზღვევ სალაროთა დასასვენებელი სახლის დამსვენებლები. ამ სახლში მათთვის კარგი დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. დასასვენებელი სახლი ერთი მთლიანი ორსართულიანი კორპუსისაგან შედგება. მისი ხუთი ჰექტარი ეზო ბოტანიკური ბაღი გეგონებათ. დასასვენებელ სახლს აქვს ერთ-ერთი ყველაზე უფრო კეთილმოწყობილი პლაჟი.

დიდი ყურადღება ექცევა დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებას. ხშირად იმართება კონცერტები, თვითმოქმედი წრეების საღამოები, კინოფილმების დემონსტრაცია, ექსკურსიები. სახლს თავისი საკუთარი რადიოკვანძი აქვს და დამსვენებლები პლაჟზე, ფიჭვნარში, ბაღში და სასპორტო მოედანზე ისმენენ მოხსენებებსა და ლექციებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კვებას. კერძები მრავალფეროვანია, დასასვენებელი სახლი კარგად მარაგდება ხორცით, ახალი თევზით, ხილით, კონსერვებით...

ქობულეთი არა მარტო დიდებს უყვართ. იგი ბავშვთა საყვარელი კურორტია. აქ ზაფხულობით ათობით პიონერთა ბანაკი და საბავშვო ბაღი ჩამოდის. მთელი დღე ფიჭვნარში, ბაღებსა და პარკებში, პლაჟზე და ქუჩებში ისმის ბავშვთა მხიარული ჟრიამული.

მთელი წლის მანძილზე მუშაობენ ქობულეთში რკინიგზის ბავშვთა სანატორიუმი და საქართველოს განათლების სამინისტროს სკოლა-სანატორიუმი.

* * *

თუ ორგანიზებულ დამსვენებელთა მომსახურება ქობულეთში მოგვარებულია, ამას ვერ ვიტყვით ეგრეთწოდებულ „არაორგანიზებულ“ დამსვენებლებზე, იმათზე, ვინც აქ შეეგებულების გასატარებლად უსაგზაროდ ჩამოდის. მართალია, ქობულეთის კურორტთა სამმართველოს ასეთი დამსვენებლებისათვის რამდენიმე ოთახი აქვს, მაგრამ ამ ოთახებით მათი დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება.

ბევრი დამსვენებლის მიღება შეუძლია ქობულეთის სასტუმროს, მაგრამ ამჟამად ექსპლოატაციაშია სასტუმროს მხოლოდ მარცხენა კორპუსი. მთავარი და მარჯვენა კორპუსი წლების მანძილზე ეკავა სხვა ორგანიზაციას და მხოლოდ წელს გათავისუფლდა. ახლა აქ აღდგენითი რემონტი მიმდინარეობს, მაგრამ ისეთი ნელი ტემპით, რომ მხოლოდ საკურორტო სეზონის შემდეგ თუ დამთავრდება (!).

ცოტაა ქობულეთში რესტორანები, გამაგრილებელი წყლების კიოსკები, ხილის წერტები. სრულიად მოუწესრიგებელია ტრანსპორტი. მთელ კურორტზე, სადაც წელს 30 ათას დამსვენებელს მოელიან, ერთი ავტობუსი მუშაობს.

კურორტს არა აქვს პოლიკლინიკა. უსაგზაროდ ჩამოსული ავადმყოფები მოკლებული არიან ამბულატორიულ მკურნალობას. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ სამეცნიერო-საკვლევი მუშაობისათვის და სამკურნალო საქმის დასაყენებლად შარმან ქობულეთს პროფესორ კ. ს. ვირსალაძის კლინიკა მიამაგრა, მაგრამ კლინიკას აქ დღემდე არავითარი მუშაობა არ გაუწევია.

ქობულეთს არ შეუძლია დაიტიოს იმდენი დამსვენებელი, რამდენსაც აქ ჩამოსელის სურვილი აქვს. შეუწყნარებლად ცოტა შენდება ახალი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე არც ერთი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი არ აშენებულა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სანატორიუმსა და ერთ დასასვენებელ სახლს, რომლებიც ამჟამად შენდება.

რამდენიმე წელიწადია მუშავდება ქობულეთის რეკონსტრუქციის გენერალური პროექტი. მას ჯერ ერთი არქიტექტორი ადგენდა, შემდეგ მეორე, მესამე... და დღემდე გეგმა შედგენილი მაინც არ არის.

ქობულეთი საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი კურორტია. საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს მიეცეს აქ დასვენებისა და მკურნალობის საშუალება.

ბ. ჩიქოვანი.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

მშრომელთა გალატაკება ერეკვნელი ბიზნესმენები ფურქეთში

ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაძლიერდა ამერიკელი დიპლომატების აქტივობა. ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ გეგმებში დიდი ადგილი თურქეთს ენიჭება.

თურქეთის მოსახლეობა 1950 წლის ოქტომბრის დამლევს მომხდარი უკანასკნელი აღწერის მიხედვით 20,9 მილიონ კაცს შეადგენს.

მოსახლეობის უმრავლესობას — 80 პროცენტს თურქები შეადგენენ. ეროვნულ უმცირესობათაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან ქურთები — 10 პროცენტი, შემდეგ ლაზები (ე. ი. გათურქებული ქართველები), არაბები, ბერძნები, ჩერქეზები, სომხები (100 ათასამდე) და სხვ. ეროვნულ უმცირესობათა მიმართ თურქეთის მთავრობა მკვეთრ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ახორციელებს, მათ ყველა პოლიტიკურ და ადამიანურ უფლებებს ართმევს. საკმარისია ითქვას, რომ ქურთებს, რომელთა რიცხვი დაახლოებით 2,5 მილიონი კაცია, არც ერთი წარმომადგენელი არა ჰყავთ მეჯლისში (პარლამენტში). სახელმწიფო თანამდებობანი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის სრულიად მიუწვდომელია. თურქეთში არ არის ისეთი სკოლები, სადაც სწავლება ეროვნულ უმცირესობათა ენებზე მიმდინარეობდეს.

თურქეთის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სოფელ ადგილებში ცხოვრობს. სოფლის მოსახლეობის ძირითად მასას — 12 მილიონს — უმიწო და მიწამცირე გლეხები შეადგენენ. საშუალო გლეხთა რაოდენობა თურქეთში დიდი არ არის. სოფლად მმართველ ხროვას წარმოადგენენ მსხვილი მიწათმფლობელები — მემამულეები და კულაკები, რომლებიც სოფლად იმპერიალიზმისა და რეაქციის ძირითადი სოციალური დასაყრდენია. თურქეთის მსხვილი ბურჟუაზიის აზეიზეზე რეაქციული ნაწილია კომპრადორები, რომლებიც ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი უცხოთის კაპიტალთან და უცხოელ მონოპოლისტთა აშკარა აგენტებს წარმოადგენენ.

თურქეთში სამრეწველო და სატრანსპორტო მუშათა რაოდენობა დიდი არ არის, რაც იმით აიხსნება, რომ იქ მრეწველობა მეტად სუსტად არის განვითარებული. მუშათა კლასი ითვლის 1 მილიონამდე კაცს, რომელთაგან დაახლოებით 300 ათასი მსხვილ და საშუალო საწარმოებში მუშაობს.

თურქეთის ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა შეადგენს. მთავარი საექსპორტო კულტურებია თამბაქო, ყურძენი, ხორბალი, ქერშიში, ხაშხაში. თურქეთში სახნავი მიწის ორი მესამედი ეკუთვნით მემამულეებს, რომელთა დიდი ნაწილი მიწას იჯარით აძლევს გლეხებს კაბალური პირობებით. ბევრ დიდ მემამულეს რამდენიმე ათეული სოფელი ეკუთვნის, ამასთან მათ შეუძლიათ გლეხების მთელი ქონებისა და სიცოცხლის განკარგულებელი იყვნენ, როგორც ეს შუა საუკუნეებში იყო.

მემამულეები გლეხებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ, ართმევენ მოსავლის ნახევარს, ხოლო ზოგიერთ რაიონში ორ მესამედსაც კი, რითაც მათ მუდმივ შიმშილსა და სიღატაკეს განაპირობებენ. გლეხთა 80-მდე პროცენტი იძულებულია მიმართოს მევახშეებს, მიუხედავად იმისა, რომ მევახშეები წელიწადში 150-200, ხოლო ზოგჯერ 900-მდე პროცენტ სარგებელს იხდევინებენ. გლეხთა ვალები ხშირად მემკვიდრეობით გადადის შობლებიდან შვილებზე და ახალი პროცენტები ემატება. ბევრი გლეხი იძულებული ხდება თავისი მოსავალი აუღებელი გაყიდოს, რითაც მოსავლის საბაზრო ღირებულების 30-40 პროცენტს კარგავს და ღატაკდება. ამჟამად თურქეთში ითვლება ნახევარ მილიონზე მეტი გაღატაკებული გლეხი, რომლებიც რაიონიდან რაიონში დადიან, რომ რაიმე სამუშაო იშოვონ.

უცხოთის მონობა, რომელშიც თურქეთი მოექცა, კიდევ უფრო აუარესებს გლეხობის მძიმე მდგომარეობას. თურქი მემამულეები იძენენ ამერიკულ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და ხნავენ მიწის იმ პატარა ნაკვეთებსაც, რომლებსაც გლეხები ათეულ წლობით ამუშავებდნენ, გლეხებს კი მიწიდან ერეკებიან და განუმზადებენ შიმშილს, უსახლკარობასა და უმუშევრობას.

უკანასკნელ წლებში თურქეთის მსუბუქი მრეწველობა ამერიკის კონკურენციის გამო მკვეთრად ამცირებს წარმოებას. მაგალითად, „მარშალის გეგმის“ მოქმედების წლებში (1948-1951) თურქეთში 412 სამრეწველო საწარმო დაიხურა, ბევრი კი არასრული სიმძლავრით მუშაობს.

სამთამადნო მრეწველობა ამერიკის შეერთებული შტატების სრულ კონტროლშია და მუშაობს უმთავრესად იმისათვის, რომ საჭირო გზავნოს მარშალიზებულ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების მითითებით.

მეტად მძიმე მდგომარეობაში არიან თურქი მუშები. მაქსიმალური მოგების მიღებით გატაცებულმა მეწარმეებმა მხეცური ექსპლოატაციის რეჟიმი შემოიღეს. სამუშაო დღე 12-14, ხოლო ზოგჯერ 19 საათსაც გრძელდება. ხელფასი მათხოვრულია. მუშის საშუალო ხელფასი თვეში 60-80 ლირას შეადგენს და 4-5-ჯერ ნაკლებია საჭირო საცხოვრებელ მინიმუმზე.

თურქეთში განუწყვეტლივ მატულობს სიძვირე. გაზეთ „ისტანბულის“ ცნობით, ფასები თურქეთში ა. წ. 1 აპრილისათვის 1952 წლის ოქტომბრის დამდეგის ფასებთან შედარებით ასე. გადიდდა: ყავისა — 45,7 პროცენტით, ბრინჯისა — 91 პროცენტით, კვერცხისა — 128,5 პროცენტით, ხორცისა — 50 პროცენტით და სხვ. მიმდინარე წლის 4 მაისს მეჯლისმა მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ 1953 წელს ბინის ქირა გადიდებულ იქნას 50 პროცენტით, ხოლო 1954 წლის 1 იანვრიდან — კიდევ 50 პროცენტით.

კიდევ უფრო მძიმეა უმუშევართა მდგომარეობა, რომელთა რიცხვი თურქეთის ქალაქებში მილიონნახევარს შეადგენს. თურქეთის ოფიციოზი „ზაფერიც“ კი აღიარებს, რომ თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს აქვს უფლება სმუშაო. ეს გაზეთი ამას წინათ წერდა: „ჩვენ არ ვიცით, რას აკეთებს, როგორ ცხოვრობს და რით ირჩენს თავს ჩვენი მოსახლეობის 60 პროცენტი“. შემდეგ „ზაფერი“ აცხადებს: „ჯერ კიდევ არ მონახულა არავითარი გზა უმუშევრობის ლიკვიდაციისთვისო“.

მშრომელთა მდგომარეობაზე მეტად მძიმე გავლენას ახდენს გადასახადების გადიდება. უკანასკნელ 6-7 წელიწადში პირდაპირი გადასახადები 6-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა, ბიუჯეტის 70 პროცენტი სამხედრო მიზნებისათვის იხარჯება, ბიუჯეტის შემოსავლის $^{9}/_{10}$-ს მოსახლეობისაგან აკრეფილი გადასახადები შეადგენს.

თურქეთის რეაქციული მთავრობა სასტიკ საშინაო პოლიტიკას ახორციელებს მშრომელების მიმართ. 1951 წლის დამლევს თურქეთში მიღებულ იქნა ფაშისტური კანონი, რომლითაც შემოღებულია სიკვდილით დასჯა ახლანდელი მმართველი ხროვის ყველა მოწინააღმდეგისათვის. გარდა ამისა, არსებობს ბევრი სხვა კანონი, რომლებიც მიმართულია ხალხის წინააღმდეგ.

მიუხედავად ტერორის რეჟიმისა, თურქეთში იზრდება და ფართოვდება მუშათა მოძრაობა. 1952-1953 წლებში მუშათა გაფიცვები მოხდა თურქეთის ბევრ ქალაქში. მუშები აცხადებენ: „ჩვენ მოვითხოვთ თავისუფლებას და ადამიანურ ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში!“, „გაფიცვის უფლებას გაფიცვით მოვიპოვებთ!“.

ახალ ფორმებს იღებს გლეხთა მოძრაობა. თუ ორი წლის წინათ ანდარმებთან შეტაკებებში მონაწილეობას იღებდნენ გლეხთა მცირე ჯგუფები — 15-20 კაცი, ახლა მემამულეებისა და კულაკების წინააღმდეგ სამკაოდ ხშირად რამდენიმე სოფელი, 800-1.000 კაცი გამოდის. გლეხების ბრძოლა მიწისათვის სულ უფრო უკავშირდება მუშათა ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სიღატაკის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის. ვერავითარი ძალა ვერ ააღებინებს ხელს თურქ ხალხს ამ წმიდათა-წმიდა ბრძოლაზე.

ა. ბეროზაშვილი.

საქართველოს კურორტები

ქობულეთი

დადგა ზაფხული, დასვენების, ტურისტული მოგზაურობისა და სპორტული ლაშქრობის წარმტაცი და შესანიშნავი პერიოდი.

გაიღო ჩვენი ქვეყნის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, საბავშვო კერების, პიონერთა ბანაკების კარები. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“, — ისმის მასპინძელთა გულთბილი სიტყვები და ათასობით საბჭოთა ადამიანი — ქალები, მამაკაცები და ბავშვები ისე შედიან სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, როგორც საკუთარ, მშობლიურ ოჯახში.

პირველი ივნისიდან ჩვენი ქვეყნის ყველა კურორტზე გაიხსნა სეზონი. ასობით ახალმა მატარებელმა იწყო მიმოსვლა რკინიგზებზე, ახალი განრიგით დაიან კომფორტაბელური გემები ჩვენს ზღვებსა და მდინარეებზე; ჰაერში მიმოქრიან თვითმფრინავები. შორეული აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან, შუა აზიიდან, ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან მოჰყავთ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, მასწავლებლები, მეცნიერები, მეშახტეები, ყველა ეროვნებისა და პროფესიის საბჭოთა ადამიანები. ისინი დაძაბულად მუშაობდნენ თავიანთ უბნებზე და ახლა მხიარულად უნდათ დაისვენონ, კურორტებზე გაატარონ დრო, გაიმაგრონ ჯანმრთელობა.

ზაფხული არსად ისეთი თვალწარმტაცი და მიმზიდველი არ არის, როგორც შავი ზღვის პირის კურორტებზე, რომლებიც ეგზომ უყვართ და მოსწონთ მილიონობით ადამიანებს.

სად, ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ გაიგონებთ შავი ზღვის პირის კურორტების სახელებს: გაგრა, იალტა, სოჭი, ანაპა, ციხისძირი, ახალი ათონი, მახინჯაური, მწვანე კონცხი და კიდევ რამდენი ასეთი ლამაზი და საყვარელი კუთხის სახელს იმეორებს კურორტებზე წამსვლელი ასეულ ათასობით ადამიანი, ქობულეთი ერთი იმათთაგანია.

ქობულეთის რკინიგზის სადგურიდან გახვალთ და ზღვას მიუახლოვდებით თუ არა, დაიწყება ხშირი ფიჭვნარი. იგი რვა კილომეტრის მანძილზე ერთ გაუწყვეტელ ზოლად გასდევს ზღვის ნაპირს.

ფიჭვნარში გაშენებულია სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, რესტორანები, სასტუმრო, ზღვის წყლის თბილი საბაზანო შენობები, კულტურის სახლი, სასპორტო მოედნები. ყველა სანატორიუმს და დასასვენებელ სახლს აქვს თავისი ვრცელი ეზო, დეკორაციული მცენარეებით და ყვავილებით შემკული. საბანაო პლაჟი გაწყობილია ქოლგებით და საწოლებით. ღამე ფიჭვნარი და ეზოები გაჩირაღდნებულია ელექტროშუქით.

ლენინის ქუჩის მხრიდან ფიჭვნარს რკინაბეტონის ლამაზი ღობე აკრავს. ღობის გაყოლებით გაშენებულია გაზონები. მრავალფრად ბზინავს ათასნაირი ყვავილები, მცენარეები, ნელ ნიავზე დინჯად არხევენ ტოტებს სხვადასხვა ჯიშის პალმები. გაზონებს მოასფალტებული სწორი ქუჩისაგან ბეტონით ამოპირკეთებული თხრილი ჰყოფს. ქუჩის გადაღმა ჩამწკრივებულია ადგილობრივ მოსახლეთა ქვის ორსართულიანი კოტეჯები, ხეხილით ამწვანებული და ყვავილნარით აფერადებული პატარ-პატარა ეზოებით.

სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ისე მცირე მანძილით არიან დაშორებული ზღვას, რომ ღელვის დროს ტალღები ზოგან ეზოში იჭრება, ზოგან შენობათა კედლებს აწყდება. პლაჟი დაფენილია ბრჭყვიალა ქვიშით. ზღვის ოდნავ მოძრაობაზეც კი ყრუდ შრიალებს ქვიშა, ათასფერი წვრილი კენჭები ციმციმებენ ნაპირზე მოვარდნილი ტალღის უკუქცევისას.

ბროლივით გამჭვირვალეა ივნისის დილის ჰაერი. ზღვა თითქმის არ მოძრაობს. ლივლივებს სარკესავით კრიალა მისი უსასრულო ზედაპირი. დღეში რამდენჯერმე იცვლის ფერს. ხან ლურჯია, ხან ცისფერი, ხან მუქი მწვანე.

გაგრის შემდეგ ქობულეთი საქართველოს ზღვისპირა კურორტთა შორის ერთ-ერთი უდიდესი, საკავშირო მნიშვნელობის კურორტია.

ქობულეთი ხალხს იზიდავს არა მარტო განსაკუთრებული სილამაზით და სტუმარმოყვარეობით, — მისი ჰავა მდიდარი და მრავალფეროვანია სამკურნალო თვისებებით. აქ იკურნებიან გულისა და სისხლძარღვების ავადმყოფობით, ნევრალგიითა და ნევრიტებით, ტუბერკულოზის დახურული ფორ

ქალთა მსოფლიო კონგრესზე

კოპენჰაგენი, 10 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი დღის წესრიგის პირველი და მეორე პუნქტის შესახებ.

შვეიცის წარმომადგენელმა ელიზაბეტ ტამმ ილაპარაკა შვედი ხალხის მშვიდობისადმი მისწრაფებაზე.

პარაგვაელ ქალთა ცხოვრებაზე ილაპარაკა ქ-ნმა სოლერსმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული ეკონომიკა განიცდის დაქვეითებას, პარაგვაი დაიმონეს ამერიკის ნავთობის კომპანიებმა, სიღატაკით და ეპიდემიური ავადმყოფობით ყოველწლიურად კვდება ათასობით მცხოვრები.

კანადელი ხალხის პროგრესული ძალების ბრძოლაზე ილაპარაკა ქ-ნმა ჯილინასმა.

მექსიკელი ქალების წარმომადგენელმა მედრანომ ილაპარაკა მექსიკელი ხალხის ბრძოლაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის დადების გეგმების წინააღმდეგ, კორეაში მექსიკელი ჯარისკაცების გაგზავნაზე, მექსიკელი ქალების მძიმე ეკონომიურ პირობებზე, სიძვირის ზრდაზე.

უნგრეთის წარმომადგენელმა ვაშმა დელეგატებს უამბო ახალი უნგრეთის წარმატებით მშენებლობაზე, ამ მშენებლობაში ქალთა აქტიურ მონაწილეობაზე.

კონგრესის დელეგატები გულთბილად შეხვდნენ დანიელი ჯარისკაცის გამოსვლას, რომელიც თავისი ასეულის ჯარისკაცების სახელით კონგრესს მიესალმა. მან განაცხადა, რომ დანიელი ჯარისკაცები არასოდეს არ იომებენ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ.

შემდეგ სიტყვა მიეცა ინდოეთის წარმომადგენელ ქ-ნ ანი მასკარენს. ინდოეთი, თქვა მან, მშვიდობის მომხრეა. ჩვენ, ინდოელი დელეგატები, ყველა ხალხს გადავცემთ მშვიდობისა და საერთაშორისო ძმობის მიმართვას. ჩვენი ოჯახების ინტერესებისათვის, ჩვენი ხალხების, მთელი მსოფლიოს ბედნიერებისა და ცივილიზაციის სახელით მოვითხოვთ ომის შეწყვეტას კორეაში, მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების მკვლელობის, ქალაქებისა და სოფლების მოსპობის შეწყვეტას, იმ სავაჭრო ბლოკადის შეწყვეტას, რომლის შედეგად შიმშილობს ათასობით ადამიანი. ხალხთა ექსპლოატაციის შეწყვეტას და მოვითხოვთ ყოველ ქვეყანას მიეცეს თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლება. ჩვენ მოვითხოვთ ბოლო მოეღოს აფრიკისა და სხვა ქვეყნების ხალხთა რასობრივ დისკრიმინაციასა და ექსპლოატაციას, რათა ყოველ ერს მიეცეს უფლება მართოს თავისი ქვეყანა. ჩვენ მოვითხოვთ მასობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღის აკრძალვას, ჩვენ მოვითხოვთ, ბოლოს, განიარაღებას, რათა მთელ მსოფლიოში დამყარდეს მშვიდობა და სიმშვიდე.

კონგრესის დელეგატებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ირანელ ქალთა დელეგატის ქ-ნ სადეგის გამოსვლა. მან ილაპარაკა ირანელი ხალხის და, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების მძიმე მდგომარეობაზე იმის შედეგად, რომ ირანში უცხოეთის კაპიტალი პარპაშებს.

კოპენჰაგენი, 11 ივნისი. (საკდესი). ქალთა მსოფლიო კონგრესის გუშინდელ დღის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობისათვის ბრძოლაზე ილაპარაკა ქ-ნმა ლილიან ლევინმა.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის პირობას, თქვა მან, წარმომადგენს ხალხთა ურთიერთგაგება, ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანად გადაჭრა.

სხდომაზე გამოვიდნენ შვეიცის, ეკვადორის, ინდონეზიის, სირიის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, ბელგიის, ეგიპტის, იტალიის დელეგატები. ისინი ლაპარაკობდნენ თავიანთი ქვეყნების ქალთა ბრძოლაზე ომის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის.

ინგლისის დელეგაციის წინადადებით კონგრესი ერთხმად იღებს საპროტესტო რეზოლუციას იმის წინააღმდეგ, რომ დანიის მთავრობამ უარი თქვა დანიაში შესვლის ვიზები მიეცა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მალაიის დელეგატი ქალებისათვის. კონგრესის დელეგატებმა მოისმინეს კორეის, მალაიისა და ვიეტნამის დელეგაციების წარმომადგენელთა ფირზე ჩაწერილი სიტყვები.

კონგრესი ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას — გაეგზავნოს მისალმება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მებრძოლი მალაიის დელეგაციებს და ეცნობოთ, რომ ისინი შეიყვანენ დელეგატთა შემადგენლობაში და კონგრესის დამსწრეებად ითვლებიან.

მშვიდობისათვის, ერთიანი გერმანიისათვის

ბერლინი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც აღნ-ის საგენტო იუწყება, ბონში გაიმართა ერთიანობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გერმანელთა კავშირის პრეზიდიუმის პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვეს ყოფილმა რაიხსკანცლერმა ი. ვირტმა და კავშირის სხვა ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა.

პროფესორმა გერმანმა, რომელმაც გახსნა პრეს-კონფერენცია, განაცხადა, რომ ცდილობს რა გააერთიანოს მთელი პატრიოტული ძალები გერმანიის მთავარი ეროვნული პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლაში, კავშირი სჯერდება ისეთ მოთხოვნებს, როგორიც არის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა, ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა უარყოფა გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის წინაპირობების შექმნის შიზნით და სრულიად გერმანიის მომავალი მთავრობის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა.

კავშირის თავმჯდომარემ ვირტმა, ილაპარაკა რა პარტიის პერსპექტივებზე მომავალ არჩევნებში, განაცხადა, რომ კავშირისადმი სოლიდარობის მრავალი მასობრივი მიტინგი, რომლებიც გაიმართა მთელ დასავლეთ გერმანიაში, საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალ ბუნდესტაგში გერმანელთა კავშირი შეიძლება დიდ ძალას წარმოადგენდეს. მან დამსწრეთ უამბო, რომ მოკლე ხნის განმავლობაში წარმატებით გაწეულ იქნა მუშაობა კავშირის ადგილობრივი კომიტეტების შესაქმნელად. ეს შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ დიდი წინასწარი მუშაობა გასწია გერმანიის ერთიანობისა, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის გამაერთიანებელმა მოძრაობამ.

მშვიდობის პაქტისათვის!

შანხაი, 11 ივნისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო საგენტო გადმოგვცემს, ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა თავის განცხადებაში მხურვალედ დაუჭირა მხარი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის რეზოლუციას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ვიეტნამელი ხალხი, ნათქვამია განცხადებაში, „დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობის დაცვის პოლიტიკის მუდამ ერთგული იყო. ვიეტნამის 23 მილიონი მოსახლეობიდან 10 მილიონზე მეტმა ხელი მოაწერა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მთელი ვიეტნამელი ხალხი აქტიურად ასრულებს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის, აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონგრესის და სრულიად ვიეტნამის მშვიდობის დაცვის მეორე კონგრესის რეზოლუციებს. ვიეტნამელი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობების სამშვიდობო პოლიტიკას და მტკიცედ მოუწოდებს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს საბჭოთა კავშირთან და ჩინეთთან დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების მიზნით“.

კალკუტაში შეიქმნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოება

დელი, 10 ივნისი. (საკდესი). კალკუტაში ადგილობრივი პროგრესული საზოგადოებრიობის ინიციატივით შეიქმნა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოება. როგორც გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი“ იუწყება, თვალსაჩინო ინდოელმა მეცნიერმა — პარლამენტის წევრმა დოქტორმა მეგნად საჰამ საზოგადოების ოფიციალურ გახსნაზე მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა: „საბჭოთა კავშირმა მოკლე დროის განმავლობაში თვალსაჩინო შედეგები მოიპოვა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. საბჭოთა კავშირმა თავი მოუყარა ბუნებრივ რესურსებს კაცობრიობის სამსახურისათვის ისე, რომ უცხო სახელმწიფოთაგან არავითარი დახმარება არ მიუღია“.

დასავლეთ გერმანიაში

უბრალო ადამიანთა ბედი ტრაგიკულია კაპიტალისტურ ქვეყნებში. მილიონობით უსახლკარო, უმუშევარი და გადატაკებულია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების ქალაქებსა და სოფლებში.

ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებანი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება. ბონის „ფედერალურმა რესპუბლიკამ“ ყოველთვიურად უნდა შეიტანოს 950 მილიონი მარკა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ სალაროში, მაშინ როცა დასავლეთ გერმანიის მილიონობით მშრომელი არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მრისხანე პროტესტს გამოთქვამს მილიტარისტულ ხელშეკრულებათა დადების წინააღმდეგ. ბევრ ქალაქში ეწყობა მშრომელთა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები. ბონელ მმართველთა ბრძანებით პოლიცია ფანტავს დემონსტრაციებსა და მიტინგებს, დემონსტრანტების წინააღმდეგ იყენებს ბრანდსპოიტებს, რეზინის ხელკეტებს, ცრემლსადენ გაზებს.

სურათზე ხედავთ, თუ როგორ ერეკებიან პოლიციელები დემონსტრანტებს. ეს სურათი მჭევრმეტყველურად გვიჩვენებს ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბესა და სიდამპლეს, იმ „დემოკრატიისა“, რომელსაც მდიდრები სამოთხეს ეძახიან, ღარიბები კი კატორღას.

ეჭვი არ არის, რომ გერმანელი ხალხის პატრიოტული მოძრაობა, რომელიც დღითიდღე ფართოვდება, სამარეს გაუთხრის ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებს, გამცემლობისა და ღალატის ამ საზიზღარ პაქტებს.

ცენტრალბილდის ფოტო.

კორეის ამგვეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 10 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 10 ივნისს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 6 თვითმფრინავი.

კორეა-ჩინეთის დელეგაციის კომუნიკე პანმინჯონის სხდომის შესახებ

პეკინი, 10 ივნისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტმა პანმინჯონიდან გადასცა კორეა-ჩინეთის დელეგაციის მიერ 10 ივნისს გამოქვეყნებული კომუნიკეს შემდეგი ტექსტი:

10 ივნისის დახურულ სხდომაზე ორივე ქვეყნის დელეგაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება დროებით, დაწყებული 11 ივნისიდან, შეწყდეს პლენარული სხდომები, რომლებიც განახლდება საჭიროების მიხედვით. შტაბის ოფიცრები წინანდებურად გამართავენ თავიანთ სხდომებს.

10 ივნისს ორივე მხარის დელეგაციების პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა შტაბის ოფიცრთა დახურული სხდომა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება

ვაშინგტონი, 10 ივნისი. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „სამხედრო ტყვეების შესახებ პანმინჯონში 1953 წლის 8 ივნისს მიღწეული შეთანხმების პირობების შესასრულებლად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების სარდლობის სახელით მოქმედებენ, 9 ივნისს შვეიცარიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ინდოეთის მთავრობებს ვაშინგტონში მყოფი მათი მისიების მეშვეობით გადასცეს სამახსოვრო ბარათი, რომელშიც ეკითხებიან ამ მთავრობებს, მზად არიან თუ არა შევიდნენ ნეიტრალური ქვეყნებისაგან შექმნილ სარეპატრიაციო კომისიის შემადგენლობაში, რომლის შექმნასაც ხსენებული შეთანხმება ითვალისწინებს“.

სახელმწიფო დეპარტამენტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა სამახსოვრო ბარათის ტექსტი.

აქციების კურსის დაცემა ამერიკის ბირჟაზე

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). 9 ივნისს მოხდა აქციების კურსის არაჩვეულებრივი დაცემა ბირჟაზე, რაც, ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სიტყვით, წარმოადგენს იმ ცნობების შედეგს, რომლებიც გამოქვეყნდა კორეაში დროებითი ზავის დამყარების შესაძლებლობის შესახებ.

ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ცნობებით, 9 ივნისს აქციების კურსის დაცემის შედეგად იმ აქციების საერთო ღირებულება, რომლებიც რეგისტრირებულია ბირჟაზე, შემცირდა 2,4 მილიარდი დოლარით, ხოლო აქციების საშუალო კურსი დაეცა ყველაზე დაბალ დონემდე 1952 წლის ოქტომბრიდან.

იტალიის პარლამენტის არჩევნების გამო

რომი, 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთები „უნიტა“, „ავანტი“, „პაეზუ“, „სეკოლო დ'იტალია“ დღეს დიდი სათაურებით მთელ პირველ გვერდზე იუწყებიან, რომ ქრისტიან დემოკრატთა ბლოკმა დეპუტატთა პალატის არჩევნებში ვერ შეაგროვა ხმების 50 პროცენტი და, მაშასადამე, საარჩევნო „რეფორმა“ გამოყენებულ არ იქნება და ადგილები დეპუტატთა პალატაში განაწილდება პროპორციული სისტემით.

ქრისტიან დემოკრატთა ბლოკისათვის დეპუტატთა პალატის არჩევნების შედეგებს უარესია, ვიდრე სენატის არჩევნების შედეგები იმავე ოლქებში.

სენატის არჩევნების შედეგები მოწმობენ, რომ ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ მნიშვნელოვნად დაკარგა ხმები და დამარცხდნენ მისი მოკავშირეები 1948 წლის არჩევნების შედეგებთან შედარებით. ქრისტიან დემოკრატთა მიერ მოღებული ხმების პროცენტი 1948 წლის 48 პროცენტიდან ამ არჩევნებში შემცირდა 40,7 პროცენტამდე, ხოლო მათი მოკავშირეებისა — 15,3 პროცენტიდან 9,5 პროცენტამდე. კომუნისტურმა პარტიამ და სოციალისტურმა პარტიამ და სხვა დემოკრატიულმა ძალებმა კი („სახალხო ერთიანობა“ და „ეროვნული დემოკრატიული კავშირი“) ამ არჩევნებში მოაგროვეს ხმების 34,8 პროცენტი, ე. ი. 1,5 მილიონი ხმით მეტი, ვიდრე 1948 წლის არჩევნებში, როცა მათ მიიღეს ხმების 30,7 პროცენტი.

ახალი სენატის შემადგენლობაში შევიდნენ: 116 ქრისტიანი დემოკრატი (15 ადგილით ნაკლები, ვიდრე 1948 წელს), სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ახალ სენატში ექნება 4 ადგილი, მაშინ როცა წარსულ შემადგენლობაში იგი წარმოდგენილი იყო 10 სენატორით, ლიბერალურ პარტიას — 3 ადგილი (1948 წელს ჰქონდა 9 ადგილი), რესპუბლიკური პარტია სულაც არ იქნება წარმოდგენილი სენატში, მაშინ როცა წარსული მოწვევის სენატში მას ჰქონდა 6 ადგილი.

კომუნისტი, სოციალისტი და დემოკრატი სენატორების რაოდენობა, პირიქით, 72-დან 87-მდე გადიდდა.

თუ შევადარებთ იტალიის დიდ ქალაქებში დეპუტატთა პალატის არჩევნების შედეგებს წინანდელი არჩევნების შედეგებს, მაშინ შეიძლება მთელი რიგი საინტერესო დასკვნები გავაკეთოთ. მაგალითად, რომში დემოკრატიული ოპოზიციის პარტიებმა — კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა, მოძრაობამ „სახალხო ერთიანობა“ და „ეროვნულმა დემოკრატიულმა კავშირმა“ მიიღეს 92 ათასი ხმით მეტი 1948 წლის არჩევნებთან შედარებით და 22 ათასი ხმით მეტი 1951-52 წლების მუნიციპალურ არჩევნებთან შედარებით; გენოაში შესაბამისად მატება უდრის 34 ათასს და 20 ათასს; პალერმოში — 30 ათასს და 5 ათასს; ფლორენციაში — 15 ათასს და 8 ათასს; ბოლონიაში — 18 ათასს და 5 ათასს; ვენეციაში — 21 ათასს და 8 ათასს; ბარში — 25 ათასს და 4 ათასს.

რომი, 10 ივნისი. (საკდესი). იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სენატის არჩევნების საბოლოო ცნობები. ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ მიიღო 9.894.754 ხმა (40,7 პროცენტი), სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 988.778 ხმა (4,1 პროცენტი) და სხვ. სულ მთავრობის ბლოკმა მოაგროვა 12.196.158 ხმა (50,2 პროცენტი).

კომუნისტურმა პარტიამ მოაგროვა 5.080.143 ხმა (20,9 პროცენტი), სოციალისტურმა პარტიამ — 2.929.906 ხმა (12,1 პროცენტი). კომუნისტური და სოციალისტური პარტიების ერთობლივმა სიებმა — 418.940 ხმა (1,7 პროცენტი).

ოპოზიციამ მიიღო 12.103.388 ხმა (49,8 პროცენტი).

შინაგან საქმეთა მინისტრმა შელბამ გუშინ საღამოს გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად ცენტრის პარტიებმა სენატში 237 ადგილიდან მიიღეს 125 ადგილი. ქრისტიან დემოკრატთა პარტიას ექნება 116 ადგილი. დანარჩენი ადგილები შემდეგნაირად ნაწილდება: კომუნისტური პარტია — 54 ადგილი, სოციალისტური პარტია — 28 ადგილი, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების საერთო კანდიდატები — 4 ადგილი, „ეროვნული დემოკრატიული კავშირი“ — 1 ადგილი, მონარქისტები — 16 ადგილი, ნეოფაშისტები — 9 ადგილი.

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი). გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „დეილი ნიუსი“ შეუშფოთებას გამოთქვამენ იტალიის არჩევნების შედეგების გამო. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ჩიანფარა რომიდან გამოგზავნილ ცნობაში ჩიგის, რომ იტალიის არჩევნების შედეგებმა „მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ 3 მილიარდ დოლარზე მეტი თანხის დახმარება გაუწიეს იტალიას“, ვერ გაამართლა ვაშინგტონის იმედი. „ყოველმა მესამე იტალიელმა, — წერს იგი, — უკიდურესად მემარცხენე პარტიებს მისცა ხმა“.

გაზეთი „დეილი ნიუსი“ სარედაქციო სტატიაში ამტკიცებს, რომ შეერთებულმა შტატებმა მარშალის გეგმის საფუძველზე და უშიშროების „ორთიერთუზრუნველყოფის სამმართველოს მეშვეობით „ამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე იტალიას გაუწიეს 6 მილიარდ დოლარამდე თანხის სხვადასხვა ეკონომიური და სამხედრო დახმარება“. მაგრამ, ჩიგის გაზეთი, ამ უდიდესი თანხების მიუხედავად, „კომუნისტებმა არჩევნებში შეაგროვეს მთელი ხმების მესამედამდე — მეტი, ვიდრე 1948 წელს“ და ამის შედეგად „ჯერ კიდევ საეჭვოა, შეძლებს თუ ვერა დე გასპერი დაიწესოს კონტროლი იტალიის დეპუტატთა პალატისადმი.

„შეერთებულმა შტატებმა, — დაასკვნის გაზეთი, — სავსებით უნდა გადასინჯონ მთელი პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება იმის ცდით, რომ თუნდაც იყიდონ მეგობრები და მოკავშირეები“.

იაპონიის მილიტარიზაცია

შანხაი, 11 ივნისი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, იაპონიის მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია იაპონიის შემდგომი მილიტარიზაცია. გამოვიდა რა 9 ივნისს პრეს-კონფერენციაზე ქალაქ ფუკუოკაში, ეროვნული უშიშროების სამმართველოს უფროსმა კიმურამ, რომელიც ფაქტიურად სამხედრო მინისტრის ფუნქციებს ასრულებს იოსიდას კაბინეტში, ოფიციალურად აღიარა, რომ არსებობს იაპონიის არმიის შექმნის მთავრობის გეგმა. როგორც ტოკიოს რადიომ გუშინ გადმოსცა, კიმურამ განაცხადა, რომ ეროვნული უშიშროების სამმართველო ამჟამად ადგენს „თავდაცვის ხუთწლიან გეგმას“, რომელიც ითვალისწინებს იაპონიის სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების გადიდებას. „ეროვნული უშიშროების კორპუსი“ იქნება იაპონიის არმიის „საფუძველი“, ამასთან მისი შემადგენლობა, კიმურას სიტყვით, გადიდდება 200 ათას კაცამდე.

დიდი ყურადღება ექცევა იაპონიის სამხედრო ავიაციას. ოსკას რადიო ამასთან დაკავშირებით იუწყება, რომ იაპონიაში მძლავრი სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის საკითხი მარტში განხილულ იქნა ამერიკის არმიის, ფლოტისა და ავიაციის ხელმძღვანელთა თათბირზე, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა.

გაზეთი „მაინიჩი“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ გეგმა, რომელზეც კიმურა ლაპარაკობდა, შედგენილია „შორეულ აღმოსავლეთში უშიშროების უზრუნველყოფის ამერიკის გეგმის“ გათვალისწინებით.

იოსიდას მთავრობა დიდ ასიგნობებს გამოჰყოფს სამხედრო მიზნებისათვის. მარტო პირდაპირი სამხედრო ხარჯებისათვის 1953-1954 საფინანსო წლის ახალი ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 71.800 მილიონი იენი.

სპექტაკლი ი. გამრეკელის ხსოვნის აღსანიშნავად

10 ივნისს რუსთაველის სახელობის აკადემიურ დრამატულ თეატრში „ოჯახური ალბომი“ — ცნობილი ქართული საბჭოთა დრამატურგის, ქართული ეროვნული ბალეტის ერთ-ერთი შემქმნელის ირაკლი გამრეკელის გარდაცვალების ათი წლისთავი. დადგა სტალინური პრემიის ლაურეატის ს. ფაღავას პიესა „არსენა“, რომლის გაფორმება ნიჭიერი მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად ითვლება.

სპექტაკლის დაწყების წინ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ წაიკითხა მოხსენება ი. გამრეკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

უძლიერეს ჩოგბურთელთა ასპარეზობა

თბილისის სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ კორტებზე დამთავრდა უძლიერესთა ასპარეზობა ჩოგბურთში საქართველოს პირად პირველობაზე. რესპუბლიკური ჩემპიონატში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 48 სპორტსმენი, მათ შორის 16 ქალი.

ვაჟთა შორის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის ოსტატი ი. ელერდაშვილი და ვ. ურაევსკი. გაიმარჯვა ურაევსკიმ.

ჩოგბურთელ ქალთა შორის დასკვნითი შეჯიბრება გაიმართა ტ. ბაქრაძესა და კ. მინაევას შორის. ჩემპიონის წოდება მოიპოვა კ. მინაევამ.

ვაჟთა შორის წყვილთა შეჯიბრების ფინალში ი. ელერდაშვილი და ვ. ურაევსკი შეხვდნენ ო. ბაზილევიჩსა და ა. ელერდაშვილს. შეჯიბრება დამთავრდა ი. ელერდაშვილისა და ვ. ურაევსკის გამარჯვებით. მათ მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონის წოდება.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ჩოგბურთელ ქალების წყვილთა ფინალური შეხვედრა. მ. იანვარაშვილმა და ლ. სახელაშვილმა მოუგეს მ. ბაქრაძეს და რ. პუგაევას და ჩემპიონატში პირველი ადგილი დაიკავეს.

შერეულ წყვილთა ასპარეზობის ფინალში გამარჯვებული გამოვიდნენ ი. ელერდაშვილი და კ. მინაევა.

გამარჯვებულ ჩოგბურთელებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

ფეხბურთი

„ა“ კლასში გადავა ორი გუნდი

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებით ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც „ა“ კლასში მე-11 ადგილს დაიკავებს, 1954 წლისათვის გადაყვანილ იქნება „ბ“ კლასში, ხოლო „ბ“ კლასის ფეხბურთელთა 2 გუნდი, რომლებიც მიმდინარე ჩემპიონატის ფინალურ ასპარეზობაში პირველ ორ ადგილს დაიკავებს, მომავალ წლისათვის გადავა „ბ“-დან „ა“ კლასში.

რამდენიმე სტრიქონით

○ **ბათუმის აჭარაოპკავშირის კლუბის** ლიტერატურულმა წრემ გამართა ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა ვ. რუსიეშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს ნ. ჭიპაშვილმა, თ. მაჭაცარიმ, ც. დოლიძემ.

○ **ორი წელი** შესრულდა, რაც საგურამოში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. ამ ხნის განმავლობაში სახლ-მუზეუმი დათვალიერა 80 ათასამდე კაცმა. კვირაღლეებში აქ ხშირად მოდის 600-700 კაცი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს დღა სხდომაზე 1953 წლის 23 ივნისს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ივანე ანტონის-ძე ქოგალია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ი. სტალინის მიერ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორიის შემდგომი განვითარება“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ს. ბერაძე**, დოცენტი მეცნიერების კანდიდატი **შ. ბიწაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სატყეო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ტყის კულტურების განყოფილების გამგის თანამდებობის დასაკავებლად (მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი). კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ დოკუმენტების ასლები, სამეცნიერო ნაშრომების სია, სამეცნიერო ნაშრომები, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან.

განცხადების შემოტანის ვადაა 15 დღე დღიდან გამოცხადებისა.

ინსტიტუტის მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 58.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკას ესაჭიროება წიგნის ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილების გამგე—სპეციალობით ენტომოლოგი ან ქიმიკოსი და სამეცნიერო ფოტოლაბორატორიის მეცნიერი მუშაკი, სპეციალობით ფიზიკოსი.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 16 საათიდან 17 საათამდე. კეცხოველის ქ. № 5.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

13 ივნისს	ჯ. ვერდი — აიდა
14 ივნისს	დღის 12 საათზე ვ. დოლიძე — **ძეთო და კოტე** საღამოს ზ. ფალიაშვილი — **აბესალოვ და ეთერი**

დასაწყისი საღამოს 8 ს და 30 წ

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს **1953-54 სასწავლო წლისათვის** კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ორგანული ქიმიის კათედრა — კათედრის პროფესორი — 1; 2. ანალიზური ქიმიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1; 3. გეომორფოლოგიის კათედრა — კათედრის დოცენტი (კარტოგრაფიის სპეციალობით) — 1; 4. უხერხემლოთა ზოოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი — 1, კათედრის დოცენტი — 1, კათედრის ასისტენტი — 1,5; 5. ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1; 6. ლოგიკის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1, კათედრის უფრ. მასწავლებელი — 1, კათედრის ასისტენტი — 1,5; 7. არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1; 8. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — კათედრის პროფესორი — 1,5, კათედრის დოცენტი — 1, კათედრის ასისტენტი — 1; 9. რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრა — კათედრის პროფესორი — 1, კათედრის დოცენტი — 2, კათედრის უფრ. მასწ. — 4; 10. საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრა — კათედრის პროფესორი — 1, კათედრის დოცენტი — 4, კათედრის უფრ. მასწ. — 1; 11. ინგლისური ენის კათედრა—კათედრის გამგე დოცენტი — 1, კათედრის დოცენტი — 1, კათედრის უფრ. მასწ. — 11, კათედრის მასწავლ. — 1; 12. სპარსული ფილოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი — 1; 13. აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 2, კათედრის უფრ. მასწ. — 2; 14. სახელმწიფო სამართლის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1; 15. სამოქალაქო სამართლის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1; 16. ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრა — კათედრის დოცენტი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების და სამეცნიერო ხარისხისა და წოდებაში დამტკიცების სიბუთების სათანადოდ შემოწმებული ასლები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მთავარი სამეცნიერო შრომები.

კონკურსის ვადაა 10 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

უნივერსიტეტის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 1.

მეუღლე ნინო, შვილები შოთა, ციალა, იუზა, რძალი ნათელა, სიძე ა. ანასაშვილი, შვილიშვილი ირაკლი, ცოლისძმები ვასილ, ნი